# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 12 თებერვალი 2000 №25 (1047) | ფასი 50 თეთრი


## ნუ ვუქომაგებთ სუპერსონიქს!

### თუ სიეტლი პლეი ოფში ვერ გავიდა, ვლადიმერ სტეფანია საქართველოს ნაკრებში ითამაშებს, ოღონდ...



სარბიელის არქივიდან

ვლადიმერ სტეფანია პორტლენდელ დეიმონ სტუდემაიერს მეურვეობს

- მე რომ ვარსკვლავი ვიყო, სკამზე არავინ დამსვამდა...
- ვესტფოლს ვთხოვე, თუ არ გჭირდებით, გამცვალეთ-მეთქი...
- ჩემმა ნათქვამმა რომ გაჭრა, ფაქტია: მწვრთნელი უკვე მათამაშებს...
- სულ მგზავრობაში ვარ, თვითმფრინავში ვცხოვრობ და მტკივანი ფეხისთვის ვერ მომიცლია...
- სიეტლელები საქართველოს ნაკრების თამაშზე ათ-თორმეტ ათას დოლარიანი დაზღვევის გარეშე არ გამომიშვებენ...

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან იხილეთ მეცხრე გვერდზე

### 3 აურელიუსის ფიქრები: ნაკრებში აღარ ვიქნები

ლიტვის ფეხბურთის მამებს ჯიბეში მორიელი უზით

### 10 ბილ ბრედლი გადამწყვეტი სროლის წინ



კალათბურთის ექსვარსკვლავმა მიზანში თეთრი სახლი ამოიღო

### ბასკო თუ აზოტი?

საქართველოს ჩემპიონატი

დღეს ბათუმში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მთავარი მატჩია: დაუმარცხებელი „ბასკო“ ორგზის ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს“ უმასპინძლებს



პირველი წრის რუსთავულ მატჩში „ბასკომ“ „აზოტს“ დამატებით დროში 102:101 მოუგო

## ალექსიძეს ჩელსი შამპანურით შეხვდა

### რატის ვეამ აუარა, დინამოს მილიონებმა

ზურაბ მექვლია ლონდონიდან

ხუთშაბათს ლონდონში ჩამოფრენილ რატი ალექსიძეს „ჰიტროუს“ აეროპორტის საიმიგრაციო სამსახურის ოფიცერმა ავტოგრაფი სთხოვა — „ჩელსის“ მომავალი მოთამაშეა, ვინ იცის, ცოტა ხანში მისი ფაქსიმილე სანატრელი გამიხდესო...

ხუთშაბათსვე ალექსიძეს სამედიცინო შემოწმების პასუხი უთხრეს — სრულიად ჯანმრთელი — ასეთია ბრიტანელ ექიმთა დიაგნოზი.

ხუთშაბათსვე რატის აპარტამენტი გამოუყვეს „სტემფორდ ბრიჯის“ სიახლოვეს მდებარე „ჩელსის“ სასტუმროში. ხუთშაბათსვე ძვირადღირებული შამპანურით დაულოცა მომავალი „ჩელსის“ პრეზიდენტმა კენ ბეიტსმა და პირობაც ჩამოართვა — მარტის ბოლომდე ისე უნდა მოემზადო, „ჩელსის“ ძირითად გუნდში ითამაშოო.

მანამდე კი რატი სათადარიგო გუნდში ითამაშებს. თუმცა მცირე გზა იქამდეცაა გასავლელი.

გუშინ ალექსიძეს მანქანით შეუარეს „ჩელსის“ ფიზმომზადების მწვრთნელმა და... თვით ჟორჟ ვეამ. რატიც ვარჯიშს შეუდგა.

დღეს რატი ალექსიძე „ჩელსისთან“ პირად კონტრაქტს გააფორმებს. სწორედ დღეს შეთანხმდებიან იმაზე, სად იცხოვრებს და რამდენს გადაუხდიან ალექსიძეს. და რა შეხვდება „დინამოს“? როგორც ირკვევა, ჯერჯერობით არაფერი.

რაკი ალექსიძეს თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი არ აქვს, ქართული კლუბი სასურველ მილიონებს ვერ მიიღებს. მართალია, ამ საკითხის დეტალებს „ჩელსი“ არ ამჟღავნებს, მაგრამ სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, რომ „დინამო“ საკომპენსაციო თანხას მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც რატი „ჩელსის“ ძირითადში რამდენიმე თამაშს გამართავს. ეს თანხა კი, ამ წყაროსავე ცნობით, ნახევარ მილიონ დოლარს არ აღემატება.

აქვე ერთიც, რატის ლონდონში ახლავს საკუთარი მენეჯერი, მამამისი თემურ ალექსიძე.



მამუკა კოპალიანის ფოტო

რატი ალექსიძე

# ტორპედო სპარტაკის წინააღმდეგ

ალბენაში მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ საერთაშორისო რვაგუნდიანი ტურნირის პირველ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ახლა მესამე საპრიზო ადგილისთვის ვარნის „სპარტაკს“ შეხვდება.

გუშინ „ალბენა მობილტელ 2000“-ის დასკვნითი შეხვედრები გაიმართა. ქუთაისელებმა ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვეს — უზბეკეთის „დუსტლიკს“ 4:3 მოუგეს. ჩვენებურთაგან გოლები იონანიძემ, ხვადაგიანმა, ჩხეტიანმა და ჯანაშიამ გაიტანეს. ჯგუფის მეორე შეხვედრაში ლიდერ სოფიის „ლევსკისა“ და ყაზახეთის ეროვნული ნაკრების დაპირისპირება 2:2 დამთავრდა. შედეგად „ტორპედომ“ და ყაზახებმა ადგილები გაცვალეს.

მეორე ჯგუფში სამარის „კრილიამ“ 2:1 სძლია რუმინეთის „ფარულს“ და 7 ქულით პირველ ადგილს დაეუფლა. სამარელები „ალბენა მობილტელ 2000“-ის თასისთვის ბრძოლაში „ლევსკის“ შეხვდებიან.

ტორპედოელთა მეტოქე ორი ბულგარული კლუბის — ბურგასის „ნეფთოხიმიკისა“ და ვარნის „სპარტაკის“ ურთიერთდაპირისპირების შემდეგ გაირკვა. მატჩის შედეგმა, ფრემ (1:1) ვარნელებს საშუალება მისცა, მეორე ადგილი შეენარჩუნებინათ.

რვაგუნდიანი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულისა და მესამეადგილოსნის ვინაობა ხვალ გაირკვევა. მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ადგილებსაც ხვალინდელ შეხვედრებში გამოუჩნდებათ პატრონი.

ტორპედოელები შინისკენ 14 თებერვალს გამოემგზავრებიან.

**ხვიჩა სანიძიძე**

| ალბენა მობილტელ 2000 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პირველი ჯგუფი** | | | | | |
| ლევსკი | 3 | 2 1 0 | | 6:3 | 7 |
| ტორპედო | 3 | 1 1 1 | | 7:7 | 4 |
| ყაზახეთი | 3 | 0 3 0 | | 4:4 | 3 |
| დუსტლიკი | 3 | 0 1 2 | | 3:6 | 1 |
| **მეორე ჯგუფი** | | | | | |
| კრილია | 3 | 2 1 0 | | 4:1 | 7 |
| სპარტაკი | 3 | 1 1 1 | | 2:3 | 4 |
| ნეფტოხიმიკი | 3 | 0 3 0 | | 2:2 | 3 |
| ფარული | 3 | 0 1 2 | | 2:4 | 1 |

# შოთა ფეხზე დადგა

გუშინწინ ჰოლანდიის ჩემპიონატში ლიდერ პსვ-სგან შერცხვენილ ამსტერდამის „აიაქსს“ ჩვენებური ფორვარდი შოთა არველაძე, როგორც ჩანს, დაახლოებით ერთ თვეს კიდევ ვერ დაეხმარება. მუხლნაოპერაციევმა შოთამ ახლახან თავისთვის დაიწყო სირბილი და მარტის დამდეგამდე ასევე გააგრძელებს. გუნდთან ერთად ვარჯიშსაც ამის მერე დაიწყებს, ესეც უკეთესს შემთხვევაში, თუ აღდგენითმა პროცესმა ნორმალურად ჩაიარა.

— ექიმებს უახლოეს დღეებში უნდა გავესინჯო და ეგებ თამაში უფრო ადრეც განვაახლო — გვითხრა შოთა არველაძემ.

ისე, ხუთშაბათს „აიაქსმა“ ეინდჰოფენში 0:4 წააგო. მატჩის დაწყებიდან 15 წუთში პსვ უკვე სამი ბურთით იგებდა.

**კობა ინასარიძე**

# დინამო და ლოკომოტივი კუნძულზეც იმეზობლებენ

უცხოეთში მოსამზადებლად მყოფი „ტორპედო“ და „ბათუმი“ დღე-დღეზე შინ დაბრუნდებიან. თბილისური კლუბები „დინამო“ და „ლოკომოტივი“ კი ახლა გაფრინდნენ თბილ ქვეყანაში. გუშინწინ, დილით ორივე გუნდი ჩარტერული რეისით კვიპროსს გაემგზავრა, „დინამო“ ლიმასოლში დაბინავდა, „ლოკომოტივი“ — იქიდან 15 წუთის სავალზე, ლარნაკაში.

„ლოკომოტივს“ მწვრთნელი, რევაზ ძოძუაშვილი კუნძულზე დახვდა და ზღვისპირა მყუდრო სასტუმროში მოათავსა. კვიპროსული ტურნირის მერე ის საქართველოს ნაკრებს უკან აღარ გამოჰყოლია, გასამგზავრებლად გამზადებულ გუნდის სხვა ხელმძღვანელებს კი იმ ფეხბურთელთა გვარები გამოუგზავნა, ახლა უკვე დღეში ორჯერ რომ ავარჯიშებს.

მეკარეები: ლომაია, ნიკურაძე; მცველები: ბალაშვილი, ზ. ხიზანიშვილი, აბრამიძე, ჭიჭვეიშვილი, გ. ჩიხრაძე, ბაქრაძე; ნახევარმცველები: კვარაცხელია, თოლორდავა, გ. გვაზავა, კაციაშვილი, ონიანი, მორჩილაძე, გილაური, არემიძე, დევდარიანი; თავდამსხმელები: ძოძუაშვილი, ხუროძე, ა. ჯელაძე, რუსია, პარამონოვი, გოდერძიშვილი.

„ლოკომოტივი“ კუნძულზე 23 თებერვლამდე დარჩება. ძოძუაშვილმა კი ამათგან 18 ფეხბურთელი უნდა შეარჩიოს და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის განაცხადში შეიყვანოს. დღეს ძოძუაშვილის შეგირდები, იქვე სასტუმროს მოედანზე ხაბაროვსკის ასკ-ს შეხვდებიან, ორშაბათს ასევე რუსეთის რომელიმე გუნდს და ასე, თბილისში წამოსვლამდე დღეგამოშვებით ითამაშებენ.

„დინამომ“ კი კვიპროსზე 4 ამხანაგური მატჩი დაუგეგმავს. 13 და 16 თებერვალს ისინი ჯერჯერობით უცნობ უნგრულ გუნდებს შეხვდებიან, 19-ში ბუქარესტის „დინამოს“, 22-ში, სავარაუდოდ, რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკს“.

ოთარ კორღალიძემ კვიპროსზე ესენი წაიყვანა: მეკარეები: გრიშიკაშვილი, ჩხეიძე, ა. ჩიხრაძე; მცველები: დიდავა, ვაშაკიძე, ზამთარაძე, ჯინჭარაძე, ხიზანეიშვილი, ქემოკლიძე, შაშიაშვილი, რუხაძე, ო. გველესიანი; ნახევარმცველები: სიჭინავა, ა. სახვაძე, ანჩაბაძე, დათუაძე, გუჩუა, რ. არველაძე, გ. შენგელია; თავდამსხმელები: გ. მიქაძე, წიტაიშვილი, გონჩაროვი.

„დინამომ“ გუშინ სამჯერ ივარჯიშა, კორღალიძე აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებს და ამბობს, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადააო. ჩემპიონები შინ „ლოკომოტივთან“ ერთადვე დაბრუნდებიან.

**კობა ინასარიძე**

# ჩომახიძე ნივაშია

თბილისის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი შოთა ჩომახიძე უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბ ტერნოპოლის „ნივაში“ იმყოფება გასასინჯად. უკრაინელები ამჟამად ბულგარეთში, ქალაქ ნესებრში იმყოფებიან შეკრებაზე. გუნდის ხელმძღვანელობამ ამ შეკრებაზე ჩომახიძეც წაიყვანა. რამდენიმე დღის წინ „ნივამ“ საწვრთნელ-საკონტროლო მატჩი გამართა ნესებრში მყოფ ფოთის „კოლხეთთან“. შეგახსენებთ, თამაში ფრედ 1:1 დამთავრდა. ჩომახიძე მწვრთნელს მეორე ტაიმში შეუყვანია მინდორზე, შოთასაც თავი არ დაუზოგავს. დარჩება თუ არა ჩომახიძე ქართველთა სიმრავლით ცნობილ უკრაინულ კლუბში, ამას მწვროთნელები ბულგარული შეკრების შემდეგ გადაწყვეტენ. მანამდე კი ჩომახიძე შეეცდება, მათ თავი მოაწონოს.

ჩომახიძე უკრაინაში იანვრის მეორე ნახევარში სამტრედიის „იბერიის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლეიშვილმა ტყუპ ძმებ ვასილ და სოსო გიგიაძეებთან ერთად წაიყვანა. პრეზიდენტს ეს ფეხბურთელები იქაურ კლუბებში უნდა მოეწყო. გიგიაძეები ჯერ კრივოი როგის „კრივბასში“ ისინჯებოდნენ, ახლა კი მახაჩყალის „ანჟიში“ არიან, ნიკოლეიშვილისა და ჩომახიძის შესახებ კი არაფერი გვსმენოდა. მხოლოდ გუშინ შევიტყვეთ, რომ 21 წლის ნახევარმცველი „ნივაში“ ყოფილა, პრეზიდენტის ბედი კი ჯერჯერობით კვლავაც უცნობია.



შოთა ჩომახიძე ლინფილდელ მეურვეს გაურბის

ჩომახიძე თუ უკრაინაში დარჩა, „ნივა“ მის სპორტულ კარიერაში მეოთხე კლუბი იქნება. იგი თავიდან სამტრედიის „იბერიაში“ თამაშობდა და გუნდის ლიდერიც იყო. შოთა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებმაც შეამჩნიეს და „ხატულაც“ ქვეყნის უპირველეს გუნდში აღმოჩნდა, თუმცა „დინამოდან“ მურთაზ ხურცილავას წასვლის შემდეგ კლუბის დატოვება მოუხდა. ხურცილავამ ჩომახიძე „ლოკომოტივში“ გადაიყვანა, თუმცა დიდხანს აქაც ვერ გაჩერდა და პირველი ეტაპის შემდეგ გუნდიდან წავიდა. გიგლა იმნაძე შოთა ჩომახიძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ხშირად იწვევდა.

**ვანო ოქროპირიძე**

# გელა ინალიშვილი ფედერაციას უთავკაცებს

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ფეხბურთელობას ერთი ხანია შეეშვა, მაგრამ უფეხბურთოდ დიდი ხანი ვერ გაძლო და...

ფეხბურთის ფედერაციამ რეგიონალურ ფედერაციებს ახალი მიზნები და ამოცანები დაუსახა. რეგიონალური ლიგის ჩამოყალიბებისა და სწორი ორგანიზაციისთვის გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, მეტი ყურადღება, რისი საშუალებაც ფაქტობრივად არ ექნება სამეგრელოს რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელ, პარლამენტარ ოთარ ჭითანავას. პარლამენტი თავის წილ პასუხისმგებლობას მოითხოვს, სხვა საქმეებიც — თავისას. ბუნებრივია, ბატონი ოთარი ამდენს ვერ გასწვდებოდა და...

„მუდამ თქვენს გვერდით მიგულეთ, ფეხბურთს არასდროს ვუღალატებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამდენი ტვირთის ტარება გამიჭირდება. ამიტომ საქმისთვის ასე აჯობებს, ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტი ენერგიულ, საქმის მცოდნე ახალგაზრდას დავუთმო“ — შემოთვალა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ოთარ ჭითანავამ.

მისივე რეკომენდაციით, ამ თანამდებობაზე გელა ინალიშვილის კანდიდატურა მისაღებია ფედერაციისთვის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თქმით, არჩევნები აუცილებლად მოეწყობა, მაგრამ ისინი მხარს ინალიშვილს დაუჭერენ.

ოთარ ჭითანავა კი სამეგრელოს რეგიონალური ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად დარჩება და შეძლებისდაგვარად დაეხმარება ქართულ ფეხბურთს.

**დათო დანელია**

# მერანს მხედარი გამოუჩნდა

## დავით ფურცელაძე ავჭალელებს უპატრონებს

„ქართულ ფეხბურთში ძალიან ბევრი სიბინძურეა. ჩემპიონატი წინასწარ განსაზღვრული გეგმით და სცენარით მიმდინარეობს. ამის ატანა აღარ შეიძლება, მოთმინების ფიალა ამევსო. მე „მერანიდან“ მივდივარ, ჩემი სურვილია ჩემპიონატიდან გუნდიც გამოვიდეს, თუმცა ეს თავად ფეხბურთელებმა გადაწყვიტონ. მე მათ ვერაფერს დავამალებ“ — თქვა თბილისის „მერანი 91“-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ და რვაწლიანი საქმიანობის შემდეგ ქართული ფეხბურთიდან წავიდა. ეს გასული წლის 16 ნოემბერს მოხდა.

„მერანი“ გაურკვევლობამ მოიცვა. გუნდში ფეხბურთელები, მთავარი მწვრთნელი თემურ ჩხაიძე და ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე დარჩნენ, თუმცა ყველა დაბნეული იყო. რა ექნათ? ერთი მხრივ ფეხბურთი მათი პროფესიაა, მათი საქმე იყო, მეორე მხრივ ნავაძის წყენინებაც უჭირდათ. გაუჭირდებოდათ არა, რა, ნავაძე ხომ ყოველთვის მათ გვერდით იდგა.

ორი-სამი დღე დასჭირდათ მერანელებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ხნის განმავლობაში გუნდის წარმომადგენლები რამდენჯერმე შეხვდნენ ნავაძესა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას. ბოლოს გადაწყდა — „მერანი“ პირველ ეტაპს ჩაამთავრებს, მერე კი ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

„მერანმა“ არსებობა განაგრძო, თუმცა უპრეზიდენტოდ და უპატრონოდ. ფეხბურთელები ხელფას-პრემიაზე მხოლოდ თუ იოცნებებდნენ.

პირველი ეტაპი დასრულდა. მერე არდადეგები იყო. 15 იანვრიდან კი გუნდმა მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ავჭალაში ფეხბურთს ვერ ჩავკლავთო, თქვეს მოთამაშეებმა, რომელთა უმრავლესობა სწორედ ამ უბნელია. მწვრთნელიც შეიცვალა. ჩხაიძე წავიდა, მის ნაცვლად კი სერგო გაბელია დაბრუნდა.

„ვნახოთ, რა იქნება. კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია. იქნებ ჩვენც გვეშველოს. თუ არა და ჩემპიონატს ჩავამთავრებთ, მერე კი...“ — ეს ანზორ მამალაძემ იანვრის შუა რიცხვებში გვითხრა, „მერანი“ ის-ის იყო ვარჯიშს იწყებდა.

„მგონი, სასიკეთო ცვლილებებია. თუ ყველაფერი კარგად იქნა, „მერანი“ ფეხზე დადგება“ — იანვრის მიწურულს ანზორ მამალაძე იმედიანი გვეჩვენა. ცოტა ხნის წინ კი გვითხრა, ყველაფერი ორ დღეში გაიკრვევაო. და აი, გაირკვა კიდეც. „მერანს“ ამიერიდან ახალი პრეზიდენტი ჰყავს — დავით ფურცელაძე. იგი გუნდში სერიოზული მიზნებით მივიდა. ვიდრე „მერანის“ პატრონობას გადაწყვეტდა, ბევრი იფიქრა. მოლაპარაკებები თითქმის სამ კვირას მიმდინარეობდა.

მოხარული ვარ, რომ ჩვენი შრომა და წვალება წყალში არ ჩაიყარა. „მერანი“ სულ მალე თავის სახეს დაიბრუნებსო, აღნიშნა „სარბიელთან“ საუბარში აწ უკვე გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ.

ცოტა ხნის წინ ნუგზარ ნავაძეს ფეხბურთელთა დავალიანება გაუსტუმრებია. ამიერიდან კი მერანელებს ხელფას-პრემია აღარ დაუგვიანდებათ.

დავით ფურცელაძე თავისი ვალდებულებების შესრულებას 1 თებერვლიდან კისრულობს. იგი გუნდის გაძლიერებაზე სერიოზულად ფიქრობს.

„მერანს“ მეორე ეტაპისთვის უკეთ მომზადების მიზნით შეკრების მოწყობა განუზრახავს. პრეზიდენტს ასე გადაუწყვეტია. მას თავისი გეგმები აქვს, რომელსაც მკითხველს უახლოეს „სარბიელში“ გავაცნობთ.

ასე რომ, „მერანი“ ფეხზე დადგა. ფურცელაძემ კლუბს სულზე მიუსწრო, გუნდს ხომ დიდი ამოცანა აქვს გადასაჭრელი — მერანელებმა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უნდა იბრძოლონ.

**ვანო ოქროპირიძე**

# ქართული ფეხბურთი ხუთ ლარად




გამოვიდა რევაზ შენგელიას ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი. რიგით მერვე გამოცემაში გაეცნობით ათი ეროვნული ჩემპიონატის სრულ სტატისტიკას, პირველი და რეგიონალური ლიგის კლუბთა განაცხადებსა და იხილავთ მათ გუნდურ ფოტოებს.

1998-99 წლების ჩემპიონატის შედეგები და თასის გათამაშების ყველა მატჩი, საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრები, ევროპის საკლუბო ტურნირები და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშები — ეს ყველაფერი და კიდევ სხვა ბევრი საინტერესო ქართული ფეხბურთის შესახებ სულ რაღაც 5 ლარად.

# ფული პროვინციულ ფეხბურთშიც გაჩნდებაო...

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეგიონალურ ფედერაციებს ფინანსურად დაეხმარება



მერაბ ჟორდანია

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ადრე ასე იყო — წელიწადი ისე არ გაივლიდა, აფხაზეთს, სამეგრელოს, იმერეთს, სამაჩაბლოს, სხვა რეგიონებსაც თავიანთი აღზრდილი ერთი-ორი ნიჭიერი ახალგაზრდა არ მიეშველებინა ქართული ფეხბურთისთვის. ის თავისებური თვითმყოფადობა და ჟინი რომ არა, ალბათ, ქართულ ფეხბურთს თავის დროზე არ ეყოლებოდა ბარქაია, სიჭინავა, ხურცილავა, დარასელია, გაბელია, შენგელია, სულაქველიძე... ჩამონათვალის გაგრძელება ძალიან შორს წაგვიყვანს.

მერე ყველაფერი აირია და ქვეყანაში, სადაც ძალლი პატრონს ვერ სცნობს, ნიჭიერი მოთამაშის მოძიება დედაქალაქშიც უძნელესი საქმეა.

გაღარიბდა და გაღატაკდა საქართველოს ის რეგიონები, რომლებიც დაუღევლად უსხამდნენ სისხლს ქართულ ფეხბურთს. არ ეფეხბურთებათ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებს. ხალხი გროშებს გამოჰკიდებია, მხოლოდ თავის გატანაზე ფიქრობს.

ფეხბურთი სულს ღაფავს პროვინციებში. „კოლხეთისა“ და „ტორპედოს“ შედარებით დალხენილი ყოფა ვერაფერი შეღავათია სამეგრელოსა და იმერეთისთვის, რადგანაც ძალიან რომ მოინდომონ მიხეილ ქორქიამ და ჯემალ ინაიშვილმა, სხვათა გასაჭირს ვერას უშველიან.

რამდენიმე წლის წინ ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა რეგიონალური ფედერაციები ჩამოაყალიბეს. მათი შექმნა მხოლოდ ერთ მიზანს, რეგიონებში ფეხბურთის დონის ამაღლებას უნდა მომსახურებოდა. გადაჭრით ვერ ვიტყვით, იმათ არაფერი გაუკეთებიათო, მაგრამ ბევრიც არ დასტყობია პროვინციულ ფეხბურთს, პირიქით, უკუსვლა თვალშისაცემი იყო.

ანაც რაღას გააწყობდნენ უსახსრო ფედერაციები. მთელი მისია ორიოდ ტურნირის ორგანიზებით შემოიფარგლებოდა, ისიც სხვათა შემწეობითა და დახმარებით.

დღევანდელმა ფედერაციამ რა გააკეთა რეგიონული ფედერაციებისთვის? თითქმის არაფერი, მაგრამ გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას კაბინეტში მოწყობილმა სამუშაო თათბირმა დაგვარწმუნა, რომ მომავალი საფეხბურთო სეზონიდან ყინული დაიძრება.

მომდევნო ჩემპიონატიდან რეგიონალურ ფედერაციებს თავიანთი ფული გაუჩნდებათ. თითოეული 2 ათას ლარს მიიღებს. მათვე დარჩებათ ის შესატანი თანხა, რომელსაც რეგიონალური ლიგის გუნდები გადაიხდიან. აგრეთვე ის ფულიც, რომელსაც ამა თუ იმ საკითხის გასარჩევად გაიღებენ მოდავე მხარეები სადისციპლინო ინსტანციების სასარგებლოდ.

ჯამში იმდენი დაგროვდება, რომ რეგიონალური ფედერაცია თავის თანამშრომლებს გადაუხდის ხელფასს, იქნება მსაჯ-დელეგატთა გასასტუმრებელი თანხა და...

„ჩვენ პროექტი მზად გვაქვს, მაგრამ უთქვენოდ არაფერს გადავწყვეტთ. დაგირიგდათ მთლიანი მასალა, გაეცანით, თქვენი აზრი მოგვახსენეთ, კიდევ შევიკრიბოთ და საბოლოო დასკვნაც ერთად მივიღოთ“ — ასე დაასრულა გამოსვლა საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა გია ფირცხალავამ.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ განაცხადა, რომ რეგიონალური ფედერაციები აღნიშნულ დახმარებებს ნაღდი ფულის სახით მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ პრობლემები თავის განხრით წარმოაჩინა. კონკრეტულ მატჩზე მივლენილ მსაჯდელეგატს გასახდელში ერთი ჭიქა მაინც უნდა დახვდეს, სკამიც აუცილებელია, რათა არბიტრი ჩამოჯდეს. არ შეიძლება სათამაშო მოედნის დახაზვა ნახერხით, მიწით ანაც კარბიდით. კარის ძელ-ხარიხები სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს და ასე შემდეგ.

ლევან ყიფიანმა ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე ისაუბრა. 2 აპრილს დაიწყება 1985-86 წლებში დაბადებულ მოზარდთა პირველობა. ლიგაში 12 გუნდი მოხვდა. აქედან თბილისს სამი, ქართლს ორი, სამეგრელოს ორი, იმერეთს ორი, ხოლო გურიას, აჭარას და კახეთს თითო გუნდის გამოყვანის უფლება მიეცათ. ფედერაცია ფინანსურ დახმარებას ბავშვთა ლიგასაც გაუწევს. ლიგის თითოეული გუნდი სათამაშო ფორმის მთლიან კომპლექტსაც მიიღებს.

იყო საუბრები იურიდიულ და ფინანსურ მხარეებზეც. ევგენი მეტრეველისა და გერა ხეცურიანის გამოსვლები ბევრისთვის საინტერესო გამოდგა.

რეგიონალური ფედერაციების თავკაცებს სოციალური დაცვისა და საპენსიო ფონდის შესახებ ილია მჭედლიშვილმა აუწყა.

ითქვა რეგიონალური ფედერაციებისა და ჟურნალისტების ურთიერთ თანამშრომლობის სასიკეთო მხარეებზეც.

მოკლედ, შეხვედრა საინტერესო იყო, თუმც სამწუხაროა, რომ ყველა რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

„ძალიან სერიოზულ და შრომატევად საქმეს შევეჭიდეთ, ამიტომ მუხლჩაუხრელი შრომა მოგვიწევს და ეს უნდა შევძლოთ“ — დაასრულა თათბირი მერაბ ჟორდანიამ.

ჩვენც ყველაფერს არ დავაკონკრეტებთ, რადგან ეს პირველი შეხვედრა იყო. ჯერ მხოლოდ მონახაზი გაკეთდა. როცა საქმეს საბოლოო ბეჭედი დაესმევა, გლობალურ გარჩევას მერე გაახლებთ.

**მამუკა კვანტალიანი**

# ჰაჯი წავა და სხვა მოვა...



იენეი გარდაქმნებს გვპირდება

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის, რუმინეთის მწვრთნელმა, ემერიხ იენეიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ევრო 2000-ის შემდეგ გუნდის შემადგენლობას გადაახალისებს.

„გეორგ ჰაჯი, რუმინეთის ნაკრების მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა სულისჩამდგმელი, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ დაგვტოვებს. ასე რომ, დროშის ახალი თაობისთვის გადაბარება მოგვიწევს“ — უთხრა იენეიმ თანამემამულე კორესპონდენტებს კვიპროსზე გამართული ტურნირის დამთავრების შემდეგ.

იენეიმ გასულ წელს განაცხადა, რომ მისი გუნდი ევრო 2000-ის ფავორიტია, ამასწინათ კი მხოლოდ რუმინეთში მოთამაშე ფეხბურთელებით კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. მოგეხსენებათ, იმავე ტურნირზე საქართველოს ნაკრებიც თამაშობდა და ამ გუნდების შეხვედრაში გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა, რადგან ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა. საქართველოს გარდა რუმინელებმა ლატვიასაც მოუგეს, ფინალში კი კვიპროსთან დამარცხდნენ 2:3.

„კვიპროსზე ოთხმა თუ ხუთმა ახალწვეულმა კარგად ითამაშა, ასე რომ, მათ ევროპის ჩემპიონატზე წაყვანას სულაც არ გამოვრიცხავ“ — დასძინა იენეიმ, რომლის გუნდსაც ჰოლანდიისა და ბელგიის სტადიონებზე, A ჯგუფში გერმანიასთან, ინგლისთან და პორტუგალიასთან მოუწევს შეხვედრა.

ჰაჯიმ, რომელიც გასულ კვირას 35 წლის გახდა, ერთობ ოფიციალურად განაცხადა, რომ ევრო 2000-ის მერე სანაკრებო კარიერას დაასრულებს.

„რუმინული ფეხბურთის ოქროს ეპოქის სხვა ფეხბურთელებმა შეიძლება მიბაძონ თავიანთ კაპიტანს“ — ამბობს იენეი.

„გალათასარაიში“ ჰაჯის თანაგუნდელი ჯიკა პოპესკუ და „ჩელსის“ ნახევარმცველი დან პეტრესკუ 33 წლისანი არიან და ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ისინიც ჩრდილში განდგომას აპირებენ. გოლკიპერი ბოგდან სტელეა 32 წლისა მოიყარა და ხშირად იმეორებს, ახალგაზრდობისთვის გზის დათმობა მწადიაო. მოსალოდნელია, რომ მის ადგილს 21 წლის ბუქარესტის რაპიდელი ბოგდან ლობონტი დაიკავებს.

იენეიმ საუკეთესო ახალგაზრდა რუმინელ ნახევარმცველებად მარიუს მალდარასანუ და კატალინ ჰალდანი დაასახელა. პირველი „რაპიდში“ თამაშობს, მეორე, ბუქარესტისავე „დინამოში“.

დაცვაში კი მწვრთნელს პლოეშტის „ასტრაში“ მოთამაშე პომპილიუ სტოიჩასი, პიტეშტის არჯეშელი ბოგდან მარასი და პლოეშტის „პეტროლულის“ წევრის, ფლორენტინ დუმიტრუსი ეიმედება.

**პაპუნა კედია**

# აურელიუსის ფიქრები: ნაკრებში აღარ ვიქნები

ჯანსაღმა კაცმა ჯანსაღ სიტუაციაში, 26 წლისამ რატომ უნდა იუაროს ეროვნულ ნაკრებში თამაში? ამას საგანგებო მიზეზი უნდა ჰქონდეს.

სწორედ საგანგებო სიტუაცია ყოფილა ლიტვურ ფეხბურთში, რაკი ჩვენი ნაკრების მეტოქეთა ერთ-ერთ ლიდერს აურელიუს შკარბალიუსს დაუფიცია, მე არ ვიყო დანიური „ბრონდბიუს“ მცველი, ვიტაუტას დერმეიკისი კი ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, თუ ნაკრებში ვითამაშო, ვიდრე ეგ ჩვენებურ ფეხბურთში ბოგინობსო.

დერმეიკისი, ნუ იტყვით და, ერთობ ჭკუამწყრალი და სულ მთლად წუწურაქი ყოფილა. ამის დასტურად ის დაუჯერებელი ამბავი გამოდგება, რომლის დაჯერებაც, გვინდა არ გვინდა, მოგვიწევს.

— თუ ლიტვის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, ფედერაცია ჯიბეზე ხელს გაიკრავს და, არც მეტი, არც ნაკლები, მთელ გუნდზე 8000 დოლარს გამოვაო — განუცხადებია ლიტვური ფეხბურთის მამამთავარს ალმასკომის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე.

ეს კიდევ არაფერი, ლიტველებმაც იციან, რომ კორეა-იაპონიაში თამაში არ უწერიათ, მაგრამ ასეთი დაცინვა? დერმეიკისი მთლად თავს გასულა — ეროვნული გუნდის შეკრებისას თითოეული ფეხბურთელისთვის 300 დოლარის გადახდაც არ უნებებია.

ჰოდა, უფიქრია აურელიუსს ამ ჩვენს არქიფო სეთურს ვაგლახად რად დავეჩაგვრინოო, გამომდგარა და უყვირია, რას გავხართ, ხალხნო, რა გიყოთ ამ მამაძაღლმა დერმეიკისმაო და ვიდრე ჩაქოლავდნენ, თავის დანიურ კლუბ „ბრონდბიუსთვის“ მიუშურებია.

აბა, მაშინ დაძრულა ლანძღვა-თათხვის ნიაღვარი, მაშინ ატეხილა თუ ატეხილა ასინეთობა და ჩვენ რომ ეს ერთი წელია, სახადი მოვიხადეთ, ლიტვას სწორედ ის ახლადა მისძალებია.

სხვა რომ არაფერი იყო მოსადავებელი, შკარბალიუსისთვის ინტერვიუს ჩამომრთმევ ლიტველ ჟურნალისტს მისდგომიან — ეგ შენი ნათესავია და რაც დაგიწერია, ტყუილიაო. რაც შეეხება ნაკრებში თამაშს, შკარბალიუსს კალთებს არავინ დაახევს, ეგეთი მეამბოხე რომაა, კვიპროსის ტურნირის ბოლო მატჩშიც სწორედ მაგიტომ არ ვაკაპიტნეთო.




აურელიუს შკარბალიუსი

წერტილი აქ დაესმებოდა, რომ არა... მართლაც, დიდ კაცთან პატარას მართალი როდის გასვლია, მაგრამ აქ საქმე სხვაგვარად მოტრიალებულა, როცა შკარბალიუსისთვის მხარი ლიტვის ნაკრების სხვა მოთამაშეებსაც აუბამთ — თუ აურელიუსს გუნდში არ დააბრუნებთ და მის მოთხოვნას არ შეასრულებთ, არც ჩვენ ვითამაშებთო.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა, დერმეიკისიც სიცილით მომკვდარა, ნეტავი თქვენ, მაგ მუქარით ვის აშინებთო...

ერთი სიტყვით, რა იქნება, ჯერ არავინ იცის. ერთი კია, შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე შვიდი თვეა და მანამდე ვინ იცის, რა შეიცვლება.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ვიტ ჯორჯიამ ძალა დაზოგა

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. ვეტერინართა მეტოქე რუმინული კლუბი „სპორტული“ გახლდათ. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ჩვენებურთაგან გოლი დავით დოლიძემ გაიტანა.

თავიდან ისე იყო დაგეგმილი, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მეტოქე ავსტრიის მეორე ლიგის ლიდერი „ადმირა ვაკერი“ უნდა ყოფილიყო, თუმცა ბოლო მომენტში ცვლილება მოხდა და ვიტელებიც „სპორტულს“ დაუპირისპირდნენ, რომელიც რუმინეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მესამე ადგილზეა.

მატჩი ქართველთა უპირატესობით წარმართულა. ჩვენებს გამარჯვების დიდი შანსი ჰქონიათ, თუმცა ორი თერთმეტმეტრიანი ვერ გამოუყენებიათ — ერთხელ არჩილ ბოკერიას გაუცუდებია პენალტი, მეორედ გიორგი ჭანკოტაძეს.

აღსანიშნავია, რომ ვიტელთა თავკაც სერგო კოტრიკაძეს ამ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაუსვენებია: ქორიძე, ყიფიანი, გვაზავა და ახალწვეული მელქაძე. ამ ფეხბურთელთა უთამაშებლობის მიზეზი სერბიულ „სლოგა იუგომაგნატთან“ დღეს გასამართი საკონტროლო მატჩი ყოფილა. სერბებმა თურქეთში აქამდე ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს — მოსკოვის „სპარტაკს“ ფრედ, 1:1 ეთამაშნენ, თურქულ „გაზიანთეფს“ კი 1:0 მოუგეს.

ანთალიაში მყოფ ვიტელებს კიდევ ორი საკონტროლო მატჩი აქვთ დაგეგმილი. ერთი ზემოხსენებულ „ადმირა ვაკერთან“, მეორე კი პოლონურ „პოგონთან“.

**ვანო ოქროპირიძე**

# ტყებუჩავა კმაყოფილიცაა და უკმაყოფილოც



მამუკა დარჩიას ფოტო

გია ტყებუჩავა

„გუნდის თამაშით კვლავაც კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კარგად ითამაშეს. აი, შედეგისა კი რა მოგახსენოთ" — გვითხრა ფოთის „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ, როდესაც სასტუმრო „გარუბსოში" შევეხმიანეთ.

მოგეხსენებათ, ფოთელები 3 თებერვლიდან ბულგარეთში, ქალაქ ნესებრში ემზადებიან მეთერთმეტე ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის. ტყებუჩავამ ამ შეკრების პერიოდში რაც შეიძლება მეტი საკონტროლო მატჩის ჩატარება დაისახა მიზნად და თავის სურვილს ახორციელებს კიდეც.

გუშინწინ „კოლხეთი" უკრაინის პირველ ლიგაში მოასპარეზე ალჩევსკის „სტალს" შეხვდა. ფოთელებს, მწვრთნელის თქმით, კარგად უთამაშიათ, თუმცა 0:1 წაუგიათ. გადამწყვეტი გოლი უკრაინელებს პირველი ტაიმის მიწურულს გაუტანიათ. არადა თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლხებს უნდა მოეგოთ კიდეც. ჩვენებურებს რამდენიმე ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეუქმნიათ, თუმცა...

„კოლხეთმა" „სტალის" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე (ქობულაძე), ფანჩულიძე, კედელაშვილი, ღაღანიძე, კიკლიაშვილი, შავგულიძე, ხუჭუა, ე. გვასალია (ახალკაცი).

შალამბერიძისა და გვასალიას შეცვლის მიზეზი მატჩის მსვლელობისას მიღებული ტრავმები ყოფილა, თუმცა, ტყებუჩავას თქმით, საშიში არაფერია, ორივე ფეხბურთელი უკვე თავს კარგად გრძნობს.

ვინც წინა შეხვედრებში ფოთელთა შემადგენლობას გაეცნო, ალბათ, შეამჩნევდა, რომ „კოლხეთის" მწვრთნელებს გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოუყალიბებიათ. ფოთელები თითქმის ყველა მატჩს ერთი და იგივე შემადგენლობით ატარებენ.

გუშინწინვე „კოლხეთის" სათადარიგოები „სტალის" მეორე შემადგენლობას ეთამაშნენ. ამ მატჩში ტყებუჩავა ძირითადად ახალწვეულებს აკვირდებოდა. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ფოთელთაგან ბურთი მიხეილ ქობულაძემ შეაგდო.

შეგახსენებთ, „კოლხეთი" ნესებრში 17 თებერვლამდე მოემზადება. დარჩენილ ხუთ დღეში კი კიდევ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. 13-ში ფოთელები ალექსანდრიას „პოლიგრაფტეხნიკასთან" რევანშის ალებას შეეცდებიან (პირველი თამაში უკრაინელებმა 2:1 მოიგეს), 15-ში უკრაინის პირველი ლიგის კიდევ ერთ გუნდს შეხვდებიან, ბოლო მატჩს კი წამოსვლის დღეს გამართავენ. მეტოქე ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ფოთელთა ყველა მეტოქე უკრაინული კლუბი გახლდათ.

არასათამაშო დღეებში ტყებუჩავა შეგირდებს ორჯერ ავარჯიშებს. მართალია, გუშინ ნესებრში ამინდი გაუარესებულა და დილით წამოუწვიმია კიდეც, მაგრამ, მწვრთნელის თქმით, ეს გუნდის მზადებაზე ოდნავადაც არ იმოქმედებს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ტყუპები თურქეთში იბერიისთვის

იანვრის თვეში სამტრედიის „იბერიის" პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლეიშვილმა ტყუპები — ვასილ და სოსო გიგიაძეები უკრაინულ „კრივბასში" გასინჯვაზე რომ ჩაიყვანა, კარგად მოგეხსენებათ. ისიც ცნობილია, რომ უკრაინელებმა ჩვენებურთა აყვანა აღარ ისურვეს.

პრეზიდენტმა ქუთაისელი გიგიაძეებით რუსეთის უმაღლეს დივიზიონში აღზევებული მახაჩყალის „ანჟი" რომ დააინტერესა და ისინი გასასინჯად დატოვა, ამაზეც დროულად მოგაწოდეთ ინფორმაცია.

ახლა კი იმაზეც გეტყვით, რომ „ანჟი" თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე და ტყუპებიც თან იახლა. მათი დაღესტნურ კლუბში ჩარიცხვის ამბავიც სწორედ იქ გამართული საკონტროლო მატჩების შედეგად უნდა გადაწყდეს და შევეცდებით, უმალ გაცნობოთ. ეს ამბავი თქვენზე მეტად შინ უპრეზიდენტოდ დარჩენილ მწვრთნელს და ფეხბურთელებს აინტერესებთ და უპირველეს ყოვლისა, მათ საყურადღებოდ ვწერთ. ესეც რომ არ იყოს, დაღესტნელებმა ქართველი ტყუპები თურქეთში წაიყვანეს და რა გაგვაჩუმებს. ისტორია მაინც არ გახსოვთ?

**პაატა რურუა**

# საშუალსეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო**<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3 |
| **დინამო**<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი) | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიში ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0 |
| **კოლხეთი**<br>*გია ტყებუჩავა* | ქოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1 |
| **ბათუმი**<br>*ჯანი კარნეველი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>*სერგო კუტივაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბაჰჩე (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1 |
| **სიონი**<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისაანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1 |
| **დილა**<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოღაშვილი, შატაკიშვილი (ლადა ტოლიატი ვაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0 |
| **იბერია**<br>*სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი**<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნიჟნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ქოჩეიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2 |
| **გორდა**<br>*იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1 |
| **თსუ**<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ქოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| **მერანი**<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), თოლორდავა (ლოკომოტივი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ქაბუკიანი 1:1 |
| **თბილისი**<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისაანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | |
| **სამგურალი**<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0 |
| **ხობი**<br>*უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი**<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნიჟნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**



კენი დალგლიში (მარცხნივ) და ჯონ ბარნსი კვლავაც მეგობრებად დარჩებიან... „სელტიკ პარკს“ მიღმა

# მწვრთნელის ბედი შოტლანდიაში

**ბოლო ცხრა წელიწადში გლაზგოს „სელტიკმა“ ბევრი მწვრთნელი გაათავისუფლა. ბილი მაკნილი, ლაიამ ბრეიდი, ლუ მაკარი, ტომი ბარნსი, ვიმ იენსენი, იოჟეფ ვენგლოში. ხუთშაბათს მათ ჯონ ბარნსიც შეუერთდა.**

ხუთშაბათს „სარბიელი“ წერდა, „სელტიკის“ ქომაგები კლუბის თამაშით უკიდურესად უკმაყოფილონი არიან და ჯონ ბარნსის გადაყენებას ითხოვენო. და აი, „სელტიკის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ალან მაკდონალდმა საჯაროდ განაცხადა, ბარნსი დავითხოვეთო. მწვრთნელის მოხსნის ოფიციალური მიზეზი ასეთია — შოტლანდის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში „სელტიკმა“ შინ დაბალდივიზიონელ „აინვერნს კალედონიან ტისლთან“ 1:3 წააგო. წაგებაც არის და წაგებაც. გლაზგოელებს ასე უსუსურად არასდროს უთამაშიათ და ასეთი სამარცხვინო მარცხი არ უგემიათ. არადა, კლუბს 112-წლიანი ისტორია აქვს. მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი სხვა რამეს ამტკიცებს. ერთ თამაშს, თუნდაც უაზროდ წაგებულს, მწვრთნელს არ გადააყოლებდნენო — ამბობენ მცოდნენი. ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს და აი, რატომ. „აინვერნსთან“ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „სელტიკი“ ქვეყნის პირველობაზე „ჰარტსთან“ დამარცხდა. არადა, უნდა მოეგო. გლაზგოელები მოწინააღმდეგეს 2:0 უგებდნენ და 2:3 კი წააგეს. ამ შეხვედრის შემდეგ „სელტიკსა“ და მის მუდმივ მეტოქე „რეინჯერსს“ შორის სხვაობა ათ ქულამდე გაიზარდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩემპიონის ვინაობა პრაქტიკულად გარკვეულია. „რეინჯერსი“ არ არის ის გუნდი, ასეთი უპირატესობა ქარს გაატანოს.

ჯონ ბარნსის გადაყენების საკითხის მომწიფებაში ერთმა „წყალქვეშა დინებამაც“ იმოქმედა. საქმე ისაა, რომ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის სერიოზული უთანხმოება სუფევდა. არსებულმა დაპირისპირებამ „აინვერნსთან“ შეხვედრის დროსაც იჩინა თავი. ბარნსმა ავსტრალიელი თავდამსხმელი მარკ ვიდუკა სათადარიგოთა სკამზე დასვა და შემდეგ ამ გადაწყვეტილების კომენტირებისაგან თავი შეიკავა. ტაიმებს შორის შესვენებაზე დიდი გაწევგამოწევა ყოფილა. როგორც ინგლისური გაზეთი „სანი“ გვამცნობს, გასახდელში საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მისულა. მარკ ვიდუკა, მცველი სტივენ მაე და მეკარე ჯონათან გულდი ბარნსს და მის თანაშემწე ერიკ ბლეკს დაუპირისპირდნენ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბარნსთან ერთად ალან მაკდონალდმა ბლეკიც დაითხოვა. და ბოლო მიზეზიც: ამ დღეებში „სელტიკის“ ცუდმა თამაშმა კლუბი დიდად აზარალა. „სელტიკის“ აღშფოთებულმა აქციონერებმა თავიანთი წილის გაყიდვა დაიწყეს, რამაც აქციათა ფასი დასცა. ალან მაკდონალდის განცხადებით, ზარალმა 3 მილიონი გირვანქა შეადგინა. თუმცა, „სელტიკი“ გულს არ იტეხს, ბოლო ექვს თვეში კლუბის მოგება 15 პროცენტით გაიზარდა, რაც 22 მილიონ გირვანქას შეადგენსო.

ა, ის ფაქტები, რამაც საბოლოო ჯამში ჯონ ბარნსის განთავისუფლება გამოიწვია. როგორც ვთქვით, მოულოდნელი აქ არაფერია. ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს ბარნსის მემკვიდრის ვინაობა იწვევდა. ესეც გაირკვა. საქვეყნოდ ცნობილი კენი დალგლიში, ვისაც აქამდე კლუბის ფეხბურთის დირექტორის პოსტი ეკავა, სეზონის ბოლომდე „სელტიკის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ალან მაკდონალდი ამბობს: „მწვრთნელის დანიშვნა ის საკითხია, სადაც აჩქარება არ გვმართებს. მით უმეტეს, კლუბში გვყავს ისეთი კაცი, როგორიც კენი დალგლიშია. უკეთეს ვარიანტზე ვერც ვიოცნებებთ. ამიტომ გადაწყვეტილება მივიღეთ. დალგლიში გუნდს სეზონის ბოლომდე გაწვრთნის. შემდეგ ვნახოთ, იქნებ ის მუშაობის გაგრძელებაზე დათანხმდეს. თუ არა და, ახალი კანდიდატურის შესარჩევად მაინც საკმარისი დრო გვექნება“.

თავად დალგლიშს სამომავლო გეგმებზე ჯერ არაფერი უთქვამს. პრესკონფერენციაზე მან მხოლოდ თავის წინამორბედზე ისაუბრა. „გული მწყდება, რომ ჯონს არ გაუმართლა — თქვა დალგლიშმა — მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება და ვფიქრობ, დიდ წარმატებებსაც მიაღწევს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ბარნსის სახელი „სელტიკთან“ აღარ იქნება დაკავშირებული. ბარნსის შეცდომა ის იყო, რომ საჭირო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. ფეხბურთელებთან წარმოქმნილ კონფლიქტს ვგულისხმობ. ის, ვინც ამ სახელოვანი კლუბის მაისურას მოირგებს, უნდა ხვდებოდეს — „სელტიკი“ ყველაფერია და საკუთარი ამბიციები არაფერს ნიშნავს. მე ამ პრინციპით ვიმოქმედებ და დანარჩენს დრო გვიჩვენებს“.

ა, ასეთი ამბები ხდება დღეს „სელტიკში“, კლუბში, რომლის ისტორიაც შორეულ მეცხრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს.

**გიორგი დარჯანია**

## კენი დალგლიში

დაიბადა 1951 წლის 4 მარტს, გლაზგოში.
1966 — ხდება შოტლანდიის მოსწავლეთა ნაკრების წევრი
1967 — აჰყავთ „სელტიკის“ საფეხბურთო სკოლაში
1968 — ხელს აწერს პროფესიულ კონტრაქტს „სელტიკთან“
1971 — მიიწვიეს შოტლანდიის ნაკრებში ბელგიის წინააღმდეგ სათამაშოდ. იყო სათადარიგოთა შორის
1972 — შოტლანდიამ 2:0 მოუგო დანიას. პირველი გოლი შეაგდო ნაკრებში
1977 — სათამაშოდ გადადის „ლივერპულში“. კლუბმა მასში 440 ათასი გირვანქა გადაიხადა
1979 — აღიარეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისში
1983 — მეორედ გახდა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი. ასევე საუკეთესო იყო ფეხბურთელთა შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგად
1984 — შოტლანდიის ნაკრებში (დაამარცხეს ესპანეთი 3:1), თავისი 30-ე გოლი შეაგდო და ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა
1985 — მუშაობას იწყებს „ლივერპულის“ მოთამაშე-მწვრთნელად
1986 — ბოლოს, 102-ედ ითამაშა შოტლანდიის ნაკრების რიგებში ლუქსემბურგის წინააღმდეგ
1991 — თებერვალში გაათავისუფლეს „ლივერპულის“ მოთამაშე-მწვრთნელის თანამდებობიდან. ოქტომბერში დაინიშნა „ბლექბერნ როვერსის“ მწვრთნელად
1995 — 1914 წლის შემდეგ „ბლექბერნი“ პირველად გახდა ინგლისის ჩემპიონი. ამავე წელს გადადგა მწვრთნელის თანამდებობიდან და დაინიშნა კლუბის დირექტორად
1996 — კლუბთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აგვისტოში ტოვებს „ბლექბერნის“ დირექტორის პოსტს. დეკემბერში ინიშნება „რეინჯერსის“ სკაუტად
1997 — „ნიუკასლის“ მწვრთნელის პოსტზე შეცვალა კევინ კიგანი
1998 — დატოვა „ნიუკასლი“
1999 — დაუბრუნდა თავის პირველ კლუბ „სელტიკს“, სადაც დაინიშნა დირექტორად
2000 — 10 თებერვალს დაინიშნა „სელტიკის“ მწვრთნელად
ევროპის ჩემპიონთა თასი — 1977, 1978, 1981, 1984
ჩემპიონთა თასის ფინალისტი — 1985
ევროპის სუპერთასი — 1977
შოტლანდიის ჩემპიონი — 1971/72, 1972/73, 1973/74, 1976/77
შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თასი — 1972, 1974, 1975, 1977
შოტლანდიის ლიგის თასი — 1975
ინგლისის ჩემპიონი — 1978/79, 1979/80, 1981/82, 1982/83, 1983/84, 1985/86, 1987/88, 1989/90
ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი — 1986, 1989
ინგლისის ლიგის თასი — 1981, 1982, 1983, 1984
მწვრთნელად მუშაობისას ინგლისის ჩემპიონი — 1995

## ფეხბურთის რუკასთან



**დანიის** ნაკრების თავდამსხმელმა ბრაიან ლაუდრუპმა ევროპის მომავალ ჩემპიონატში ასპარეზობაზე უარი განაცხადა. „ბრაიანს გულახდილად ვესაუბრე. ვუთხარი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ძლიერი ნაკრების ჩაყვანა მსურს, მაგრამ მას ფეხბურთისთვის თავის დანებება გადაუწყვეტია და ამიტომ უარი განმიცხადა“ — ამბობს ნაკრების თავკაცი ბო იოჰანსონი. ბრაიან ლაუდრუპს თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 82 შეხვედრა ჩაუტარებია და ჯამში 21 გოლი გაუტანია. უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრაზილიასთან მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ, მან თავისი სანაკრებო კარიერა დაასრულა. თუმც ლაუდრუპი საკლუბო დონეზე კვლავ ასპარეზობს და ამსტერდამის „აიაქსის“ ღირსებას იცავს.

**ფრანგული მარსელის „ოლიმპიკის“ მცველმა უილიამ გალასმა გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ფეხი მოიტეხა და სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრზე „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ფეხბურთელს აშკარად არ გაუმართლა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთადერთი გოლი სწორედ გალასმა გაუტანა.**

ესპანური „რეალ ბეტისის“ ფეხბურთელი ხორხე ოტერო ვარჯიშის დროს მძიმედ დაშავდა. ექიმების განცხადებით, მან ფეხი მოიტეხა და ექვსი კვირა თაბაშირის ტარება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ მადრიდის „რეალთან“ შეხვედრაში მან მეტოქე სავიოს საკმაოდ მძიმე ტრავმა მიაყენა, რის გამოც ბრაზილიელი დაახლოებით ორ თვეს ვერ იასპარეზებს. ოტერომ მაშინ საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

**შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრებები ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაზე შეთანხმდნენ. მატჩი 30 მაისს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერც ერთმა მოიპოვა.**

ბრაზილიურმა „ფლამენგომ“ თანაქალაქელ „ვასკუ და გამას“ თავდამსხმელ ედმუნდოში 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ცნობილია, რომ 31 წლის ედმუნდოს გადაბირებას იტალიის ჩემპიონი „მილანიც“ ცდილობს, თუმც სატრანსფერო თანხაზე ჯერჯერობით არავის უსაუბრია. იმასაც შეგახსენებთ, რომ თავად „ვასკუს“ პრეზიდენტი ანტონიუ სუარესი თავდამსხმელში 15 მილიონ გირვანქას ითხოვს. ასე რომ, ედმუნდოს მომავალი კლუბი კვლავ გაურკვეველია.

**ესპანური „ბარსელონას“ მცველი სერხი ტრავმის გამო დაახლოებით ექვს კვირას ვერ იასპარეზებს. ის ესპანეთის თასზე „ოსასუნას“ წინააღმდეგ მატჩში დაშავდა. ფეხბურთელს, ალბათ სანაკრებო შეხვედრის გამოტოვებაც მოუწევს. 29 მარტს ესპანეთის ეროვნული გუნდი „ბარსელონას“ მშობლიურ „კამპ ნოუზე“ იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს. სერხი კი, როგორც ცნობილია, ესპანელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.**

# ცხადია, ლობანოვსკი



ვალერი ლობანოვსკი

უკრაინის ნაკრების რამდენიმე თვით უმეთაუროდ ყოფნა დასრულდა. ეროვნულ გუნდს ყველაზე ცნობილი უკრაინელი მწვრთნელი — ვალერი ლობანოვსკი ჩაიბარებს.

მართალია, საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, მაგრამ ოფიციალურად ეს დანიშვნა 29 თებერვალს გაფორმდება. რატომ ამ დღეს? უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვალერი პუსტოვოიტენკო განმარტავს: „29 თებერვალს კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბორგს“ ხვდება. ამავე დღეს ნაკრების ყოფილ თავკაც იოჟეფ საბოს იუბილე აქვს, მას 60 წელი უსრულდება. ჩვენც გადავწყვიტეთ, ფედერაციის აღმასკომის სხდომა ამ ორი მოვლენისთვის დაგვემთხვია. სხდომაზე საბო ოფიციალურად გადასცემს უფლებამოსილებას ლობანოვსკის“. კითხვაზე, ლობანოვსკიმ ბოლო წუთს უარი რომ თქვას, რა მოხდებაო, პუსტოვოიტენკოს პასუხი ასეთი იყო: „ეს გამორიცხულია!“ პრეზიდენტმა იქვე დაუმატა, დამეთანხმებით, ვალერი ვასილიევიჩზე უკეთესი სპეციალისტი უკრაინას არ ჰყავს და ნაკრებიც ამდენ ხანს უმწვრთნელოდ ამიტომ იყო დარჩენილი, მის დაყოლიებას ვლამობდითო.

ახალი მწვრთნელის დანიშვნის გარდა პუსტოვოიტენკომ სხვა საკითხებზეც ისაუბრა. კერძოდ, მან თქვა, რომ პრემიების განაწილების სისტემა შეიცვლება. ფედერაცია ნაკრების ყოველ წევრთან შეთანხმებას მოაწერს ხელს, სადაც ანაზღაურების პირობები ჩაიწერება. ფეხბურთელები პრემიებს როგორც ცალკეული მატჩების, ასევე საბოლოო შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ.

დღეს უკრაინის ეროვნული ნაკრების მიზანი ერთია — ის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს. ევროპის მეხუთე შესარჩევ ჯგუფში უკრაინელთა მეტოქეები ნორვეგიის, პოლონეთის, ბელორუსის, სომხეთის და უელსის ნაკრებები არიან.

**გიორგი დარჯანია**

# ნახეთ საკუთარ მობილურებში

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ოთხწლიანი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა მსოფლიოს უდიდეს სატელეკომუნიკაციო ფირმა „ვიდაფონთან“. კონტრაქტის ღირებულება 48,05 მილიონი დოლარია.

ამრიგად, პრემიერლიგის ლიდერის მთავარი სპონსორის ვინაობა გაირკვა. 1 ივნისიდან „იუნაიტედს“ მაისურაზე სწორედ „ვიდაფონი“ ეწერება.

საგულისხმოა, რომ „ვიდაფონი“ მანჩესტერელი ქომაგების მობილური ტელეფონებითა და საინტერნეტო მომსახურებით უზრუნველყოფას კისრულობს. ამ გზით ფანებს საშუალება მიეცემათ კლუბისგან დაუყოვნებლივ მიიღონ, როგორც აუდიო ასევე ტექსტუალური შეტყობინებები.

მოსალოდნელია, რომ 2003/2004 წლებისთვის ტექნოლოგიის განვითარება საშუალებას მისცემთ მობილური ტელეფონებით ვიდეოინფორმაციაც გადაიცეს. ასე რომ, ქომაგები საკუთარ აპარატებში როგორც მაშინდელი „იუნაიტედის“ თამაშების, ასევე საარქივო კადრების ნახვას შეძლებენ.

„ვიდაფონს“ ბრიტანეთში 8 მილიონი აბონენტი ჰყავს, მსოფლიოში კი 42 მილიონი.

„იუნაიტედს“ ახლანდელ სპონსორ „შარპთან“ მიმდინარე სეზონის ბოლოს გაუდის კონტრაქტის ვადა.

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი
### ოსასუნა 0:4 ბარსელონა

0:1, 0:2 ლუის ენრიკე (36, 60), 0:3 დანი (74), 0:4 კლუივერტი (90)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუასი, იბან პერესი, მატეო, კრუჩაგა, ალფრედო (ანხელ ლუისი 71), პალასიოსი (არპონი 61), ალექს ფერნანდესი, ტრეჩიაკი (მარკოვიჩი 71), სიგანდა, ალფონსო
ბარსელონა: ჰესპი, ფრენკ დე ბური, ბოგარდი, დეუ, სერხი (გაბრი 66), რაიციგერი, ლუის ენრიკე, რონალდ დე ბური, კლუივერტი, რივალდო, დანი
გაფრთხილება: ალექს ფერნანდესი
მსაჯი: გარსია არანდა

პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „ალავესთან“ წაგების მთელი ჯავრი „ბარსელონამ“ ესპანეთის თასის მეოთხედფინალში „ოსასუნაზე“ იყარა. მეტოქე სტუმრად 4:0 დაამარცხა და ნახევარფინალის საგზურიც ფაქტობრივად გაინაღდა.

აღსანიშნავია, რომ მატჩს ოდნავი ინტრიგა უძღოდა წინ. „ოსასუნა“ „ბარსელონასთვის“ ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ ჩანდა. მეორედივიზიონელმა გუნდმა თასის წინა ეტაპზე ორი საკმაოდ მრისხანე მეტოქე გამოთიშა ასპარეზობას. ჯერ პრიმერადივიზიონის ლიდერ „დეპორტივოს“ სძლია, ხოლო შემდეგ ტიტულის ამჟამინდელი მფლობელი „ვალენსია“ დაამარცხა; მაგრამ ოსასუნელებმა „ბარსელონასთან“ გამკლავება ველარ შეძლეს. მათ კატალონიელთა შეტევებს მხოლოდ ნახევარი საათი გაუძლეს. მეტიც, ჰესპის კარს ერთი ორჯერ სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ გამოცდილებამ და კლასმა საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა.

„კამპ ნოუს“ კერპმა, ახლახან გამოჯანმრთელებულმა ლუის ენრიკემ 36-ე წუთზე საკმაოდ ეფექტური გოლი გაიტანა და თავისიანები დააწინაურა. მე-60 წუთზე იმავე ენრიკემ დუბლი შეასრულა, რითაც გამარჯვებულისა და ნახევარფინალისტის ვინაობა თითქმის გამოააშკარავა.

შემტევი სტილის მქადაგებელი ლუის ვან გაალი და მისი „ბარსელონა“ ამაზე არ შეჩერებულან და სამბურთიან უპირატესობას 74-ე წუთზე დანი გარსიას მიერ შორი მანძილიდან გატანილი გოლით მიაღწია. მატჩის უკანასკნელ წუთზე კი ჰოლანდიელმა პატრიკ კლუივერტმა გამოიჩინა თავი, რივალდოს ზუსტი პასი კარგად დაამუშავა და „ოსასუნას“ კარში მეოთხე გოლი გაიტანა.

საპასუხო შეხვედრა „კამპ ნოუზე“ ერთი კვირის შემდეგ გაიმართება. თუმც „ოსასუნას“ მომდევნო ეტაპზე გასვლა ახლა ალბათ გუნდის უერთგულეს ქომაგსაც აღარ სჯერა.



ბარსელონელ პატრიკ კლუივერტთან (მარჯვნივ) მეტოქეები ვერაფერს გახდნენ



ლაციოელ სინიშა მიხაილოვიჩს (მარცხნივ) დუბლის შესრულებას ფაბრიციო რავანელი ულოცავს

## იტალია

### თასის ნახევარფინალი
### ლაციო 5:0 ვენეცია

1:0, 2:0 მანჩინი (14, 24), 3:0, 4:0 მიხაილოვიჩი (28პ, 59პ), 5:0 რავანელი (89)
ლაციო: ბალოტა, ლომბარდო, ფერნანდო კოუტუ, მიხაილოვიჩი (ნეგრო 65), გოტარდი, კონსეისაო, მანჩინი, ალმეიდა, ნედვედი (პინცი 80), რავანელი, ბოქშიჩი (მარკოლინი 59)
ვენეცია: კასაცა, ბრიოსკი, კარდონე, ნგოტი, ბიანკი (ჯინესტრა 54), კარნაშალი (იბერტსბერგერი 80), ბერგი, ვოლპი, პედონე, ორლანდინი, განცი
გაფრთხილება: ბიანკი, კარნაშალი
მსაჯი: ბოლონინო

სერია A-ს ამჟამინდელ ლიდერ რომის „ლაციოს“ უკვე თამამად შეიძლება ვუწოდოთ იტალიის თასის ფინალისტი. რომაელებმა „სტადიო ოლიმპიკოს“ მშობლიურ კედლებში „ვენეციას“ უმასპინძლეს და გამანადგურებელი ანგარიშით — 5:0 დაამარცხეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ სვენ გორან ერიქსონმა ორი წამყვანი ფეხბურთელი — არგენტინელი გამთამაშებელი ხუან სებასტიან ვერონი და იტალიელი მცველი ალესანდრო ნესტა დაასვენა, რადგან რომაელებს სერია A-ს მომავალ ორ ტურში გადამწყვეტი მატჩები ელით, ჯერ „პარმას“ უმასპინძლებენ, ხოლო შემდეგ „მილანს“ ესტუმრებიან.

„ლაციოსთან“ მატჩში „ვენეციის“ ახალი მწვრთნელის, ფრანჩესკო ოდოს დებიუტი შედგა, რომელიც აშკარად უიღბლო გამოდგა.

მასპინძლებმა ვენეციელთა განადგურებას მე-14 წუთზე ჩაუყარეს საფუძველი. 20 მეტრიდან იუგოსლაველი სინიშა მიხაილოვიჩის დარტყმამ მართალია, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ბურთთან დროულად გაჩნდა რობერტო მანჩინი და იგი მეტოქის კარში გადაგზავნა. ზუსტად ათ წუთში რომაელმა ვერეტარნმა ჩეხი პაველ ნედვედის ზუსტი პასით მეორე გოლიც გაიტანა, დუბლი შეასრულა და გამარჯვებულის ვინაობა იმთავითვე გამოავლინა. თუმც ამის შემდეგ „ლაციოს“ ანგარიშის შენარჩუნებაზე ნამდვილად არ უთამაშია, პირიქით, ზეწოლა გაზარდა. ერიქსონს ფინალის საგზურის განაღდება პირველივე შეხვედრაში სურდა და მიაღწია კიდეც. 28-ე წუთზე ვენეციელმა სერჟიო ვოლპიმ თავის საჯარიმოში რომაელი სერჟიო კონსეისაო წააქცია, მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომლის შესასრულებლადაც ტრადიციულად სინიშა მიხაილოვიჩი გამართა და ზუსტი დარტყმით ანგარიშის სხვაობა სამამდე გაზარდა. ტაიმის დასასრულს „ვენეცია“ კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანით დაისაჯა. ექსმილანელი ბრუნო ნგოტი პაველ ნედვედს ეუხეშა. თავის გამოჩენა ამჯერად ფაბრიციო რავანელიმ სცადა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარე ფაბრიციო კასაცამ გააუვნებლა, თუმც ეს მატჩის უკანასკნელი თერთმეტმეტრიანი არ ყოფილა, 59-ე წუთზე რიგით მესამე პენალტი დაინიშნა. ვენეციელი ჯუზეპე კარდონეს უხეშობის მსხვერპლი ამჯერად რავანელი შეიქნა. თავად ჭალარათმიანმა ბურთთან მისვლა აღარ გარისკა და პენალტის შესრულება მიხაილოვიჩს მიანდო, რომელმაც ზუსტად დაარტყა და დუბლიც მიითვალა.

შეხვედრის მიწურულს, 89-ე წუთზე, რავანელიმ მაინც მიაღწია საწადელს. 20 მეტრიდან ზუსტი დარტყმით მეხუთე გოლი გაიტანა და ვენეციაში ჩასატარებელი საპასუხო მატჩი ფორმალობადღა აქცია.

შეგახსენებთ, რომ მეორე ნახევარფინალში მილანის „ინტერმა“ სტუმრად „კალიარი“ დაამარცხა 3:1 და ფინალის საგზური თითქმის გაინაღდა.

თუ სასწაული არ მოხდა, ფინალში „ლაციოსა“ და „ინტერის“ დაპირისპირებას ვიხილავთ.

# კორტიზონის კვალი
## ყოფილი პროფესიონალები თავიანთ კლუბებს უჩივიან

**ინგლისურ პრესაში საყოველთაოდ ნაცნობმა თემამ წამოჰყო თავი: ფეხბურთელი, მედიკამენტები და სამედიცინო თუ იურიდიული პრობლემები. დღეს ახალ-ახალი, ნაირგვარი პრეპარატები ტრიალებს სპორტულ სამყაროში. თუნდაც ერთი-ორი წლის წინ იტალიაში გახმაურებული კრეატინის ამბავი გავიხსენოთ, მაგრამ იყო დრო, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წამალი კორტიზონი გახლდათ.**

**ქვემოთ ყოფილი ფეხბურთელი ჯონ ჰენდრი საკუთარ გამოცდილებაზე გვესაუბრება.**

ბოლო ხანს გამოქვეყნებულმა წერილებმა, სადაც ფეხბურთელებისა და პრეპარატ კორტიზონის შესახებ იყო საუბარი სულაც არ გამაკვირვა — თავად რეგულარულად ვიღებდი კორტიზონს.

ნემსი ორივე მუხლსა და კოჭზე გამიკეთებია. ამიტომაც აბსოლუტურად მესმის იმ მოთამაშეების, რომლებიც დახმარებისთვის მედიკამენტებს მიმართავენ, თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ უშუალოდ მატჩის წინ, 90 წუთის გასაძლებად ინექციისთვის არასდროს მიმიმართავს.

კორტიზონს „მიდლსბროში“ თამაშის დროსაც მივმართავდი და მაშინაც, „ლიდსისა“ თუ „ბარნსლის“ ფეხბურთელი რომ გახლდით. პრეპარატის მიღების შემდეგ ხუთ დღეს ვისვენებდი, რაც ხანგრძლივი დაშავებისგან მიფარავდა.

კორტიზონი ჩემთვის ბოლო იმედი იყო. ყოველთვის ძალიან განვიცდიდი ტრავმა მოედანს დიდი ხნით რომ ჩამომაშორებდა. გულით მეწადა საქმეში დაბრუნება, მაგრამ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებისგან დაღლილი უკეთესობას ვერ ვგრძნობდი. ბოლო იმედი, როგორც მოგახსენეთ, კორტიზონი გახლდათ. ვიცოდი, ის დამეხმარებოდა.

შემდეგ, როდესაც „ბარნსლის“ მწვრთნელი გავხდი, ჩემი ფეხბურთელებისთვის წამლის მიღება არ დამიძალებია. ვგონებ ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს სჭირდება თუ არა მედიკამენტური დახმარება.



ჯონ ჰენდრი

დღეს ჩემთვის გასაგებია ახალგაზრდობაში კორტიზონს დაჩვეული ყოფილი პროფესიონალები კომპენსაციას რომ ითხოვენ. მათ ძლიერ ტკივილთან უწევთ ბრძოლა, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ კლუბები მედიკამენტებს სხვადასხვა მიზეზის გამო მიმართავდნენ. მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ მწვრთნელის სამსახურში ყოფნა-არყოფნა შედეგზეა დამოკიდებული, ხოლო შედეგის მისაღწევად საჭიროა შენი საუკეთესო ფეხბურთელები მოედანზე გაიყვანო. მნიშვნელობა არ აქვს რა მეთოდით მოახერხებ ამას.

კლუბების ფიზიოთერაპევტები თავმჯდომარეების ზეწოლის ქვეშ იყვნენ. დიდი იყო მათზე მწვრთნელისა და საკუთრივ მოთამაშეების გავლენაც. მათ სურდათ ტრავმის მერე ფეხბურთელი უმოკლეს დროში დაბრუნებოდა მინდორს.

მაშ დღეს ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი? აი, რას ამბობს სპორტული კანონმდებლობის სპეციალისტი სტივენ ლოუნსბორო, რომელიც „ნელსონსა და კომპანიაში“ მუშაობს:

„ერთი შეხედვით დამნაშავე ესა თუ ის კონკრეტული კლუბი გახლავთ, მაგრამ თუ რომელიმე ფეხბურთელი ინექციას რამდენიმე კლუბში იკეთებდა, მაშინ უკვე პრობლემას ვაწყდებით. საქმე ერთი ფეხბურთელის მიერ ერთი კლუბის წინააღმდეგ აღძრული პროცესით რომ იფარგლებოდეს ვიტყოდი, რომ გამოსავალი ნათელია, თუმცა ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთობ ცნობილი ადამიანი იტანჯება, მის საქმეს კი სასამართლო ვერ არჩევს“.

მე ერთობ იღბლიანი გამოვდექი, რადგან კორტიზონს ჩემთვის კვალი არ დაუმჩნევია და დღეს ტკივილი არ მაწუხებს. უბრალოდ ვიმედოვნებ, რომ სამედიცინო ცოდნის გაღრმავება მოიტანს იმას, რომ მომავალში შავ დღეში არავინ აღმოჩნდება.

**ჯონ ჰენდრი**

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

## ნახევარფინალი

### ნიგერია 2:0 სამხრეთ აფრიკა

1:0, 2:0 ბაბანგიდა (1, 35)
ნიგერია: შორუნმუ, ბაბაიარო, იენემი (ოკუნოვი 89), ვესტი, ოკპარა, ფინიდი, ოლისე, ადეპოჟუ, ბაბანგიდა (იკპება 73), კანუ, ჩუკვუ (აგაოვა 68)
ს. აფრიკა: არენდსე, რადებე, ფიში, ისა, ნგობე, მგუმნი (ბაპელა 46), მოშოუ, ფორჩუნი (ლეკოელა 76), მკალელე, ბარტლეტი, ნომვეტი (ნდლანია 79)

### კამერუნი 3:0 ტუნისი

1:0 მბომა (49), 2:0 ეტოო (83), 3:0 მბომა (88)
კამერუნი: ალეუმი, სონგი, კალა, ნჯანკა, ფოე, ნჯიტაპი, ეტამაიერი, ოლემბე, ჩუტანგი (ვომე 46), მბომა, ეტოო.
ტურნისი: ელ ქუარი, ბადრა, ტრაბელსი, ჯაიდი, ტაბეტი, ჩიჩი, ბუზეინი, კანზარი (ბუაზისი 64), გაბსი, ჯაზირი (ზიტუნი 59), სელიმი (მედჰეში 73)

**ხუთშაბათს** აფრიკის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები გაიმართა.

განსაკუთრებული ყურადღება ლაგოსისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ნიგერია სამხრეთ აფრიკას ხვდებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებული შემდეგ თასსაც მოიგებდა. თუმცა დროს ნუ გავუსწრებთ, ამ მოსაზრების სისწორეს კვირას შევამოწმებთ.

მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გატანილ გოლს სწრაფს ვუწოდებთ. ასეთი კრიტერიუმით ტიჯანი ბაბანგიდას პირველ ბურთს სუპერსწრაფი შეიძლება დავარქვათ — აიაქსელმა სამხრეთელი მეკარე ანდრე არენდსეს კარი მე-40 წამზე დალაშქრა. ამით ნიგერიელმა პოლიციელებმა, ალბათ, სხვებზე მეტად გაიხარეს — ქომაგებს აგრესიულობის გამოვლენის სურვილი აღარ გასჩენიათ და მომდევნო 90 წუთი წესიერად იქცეოდნენ. სამხრეთაფრიკელები უსწრაფესი გოლის გაშვებამ დაამწუხრა, მაგრამ წონასწორობის აღსადგენად მათ მთელი მატჩი წინ ჰქონდათ და არ გატეხილან. „ბაფანა ბაფანამ“ რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელა. ყველაზე კარგი შანსი კი ყმაწვილ თავდამსხმელ სიაბონგა ნომვეტს ჰქონდა. მან მეტად სახიფათოდ დაარტყა და ცოტათი იღბალიც რომ დახმარებოდა...

შეხვედრაში საბოლოო გარდატეხა 35-ე წუთზე მოხდა, როდესაც იმავე ტიჯანი ბაბანგიდამ მეორეც შეაგდო და მატჩის გმირი შეიქნა. ნიგერიელები გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ. ამის მიზეზი ორბურთიანი უპირატესობა და სამხრეთაფრიკელთა უიმედობა გახლდათ. მართლაც, სამხრეთელთა თამაში ნაკლებ შთამბეჭდავი გახდა. ისინი მიხვდნენ, რომ მატჩის სადავეებს ველარ დაიმორჩილებდნენ. გახშირდა შეცდომები. პასები უზუსტო გახდა, ხოლო გარღვევები — უსაფრთხო.

შემდეგ აღარც „სუპერარწივებს“ გამოუდიათ მაინცდამაინც თავი. ისინი უკვე მომავალ ფინალზე ფიქრობდნენ და იშვიათი შეტევებით დაკმაყოფილდნენ. მეორე ტაიმში მიზანთან ახლოს სოსიედადელი მეტიუ ადეპოჟუ და არსენალელი ნვანკვო კანუ იყვნენ.

მატჩი დასრულდა, ანგარიში პირველი ტაიმისა დარჩა და ნიგერია ფინალში გავიდა. აპარტეიდგამოვლილი სამხრეთ აფრიკა კი საფეხბურთო ოჯახში დაბრუნების შემდეგ პირველად დარჩა აფრიკის თასის გათამაშების ფინალს მიღმა. შეგახსენებთ, 1996 წელს გუნდი ჩემპიონი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ ბურკინა ფასოში პირველობა ეგვიპტეს დაუთმო.

მეორე ნახევარფინალურ მატჩს ნაკლები ინტრიგა ახლდა. ეს შეხვედრის წინა დღეს ტუნისელთა მწვრთნელის სიტყვებმაც განაპირობა. ფრანჩესკო სკოლიოს უთქვამს: „ფინალში გასვლის მეტად მცირე შანსი გვაქვს. კამერუნი უძლიერესი გუნდია და ვფიქრობ, ჩემპიონიც გახდება“.

იტალიელი მწვრთნელის უიმედობა ფეხბურთელებს არ გადასდებიათ, ისინი თავიდანვე აქტიურად ათამაშდნენ. პირველი 20 წუთი ტუნისელებისა იყო. კამერუნელთა მეკარე ბუქარ ალეუმს ორჯერ მოუხდა ახლოდან ფრაიბურგელი ადელ სელიმის თავური დარტყმების მოგერიება. კამერუნელებს თამაშის დასალაგებლად ცოტა მეტი დრო დასჭირდათ და სახიფათო მომენტების შექმნა ტაიმის მიწურულსღა დაიწყეს. ჯერ მადრიდელმა ჯერემი ფოტსო ნჯიტაპმა შეამოწმა ტუნისელთა კარის დარაჯის, ჩოკრი ელ ქუარის საიმედოობა, შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან პატრიკ მბომამ უძლიერესად დაარტყა. ბურთმა უცნაური ტრაექტორია შემოხაზა და მიზანს ოდნავ ასცდა.

დაიწყო მეორე ტაიმი. აქვე ვთქვათ, რომ ტუნისელთა მეკარეს წინა სამ მატჩში გოლი არ გაეშვა და ამ შეხვედრის საწყის 45 წუთშიც ვაჟკაცურად იბრძოლა.

49-ე წუთზე კი ასეთი რამ მოხდა. შეცვლაზე შესული ბოლონიელი პიერ ვომე ბურთიანად მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა. ტუნისელთა მცველებმა ყურადღება მასზე გადაიტანეს და პატრიკ მბომა შეუმჩნეველი დარჩათ. ვომემ მას ჩააწოდა და კალიარელმა ის შეძლო, რაც აქამდე მაროკოელ, კონგოელ და ეგვიპტელ ფეხბურთელებს ვერ მოეხერხებინათ — ჩოკრი ელ ქუარს გაუტანა. ეს ანგარიში შეხვედრის 83-ე წუთამდე არ შეცვლილა. აქ კი რეალელმა სამუელ ეტოომ იყოჩაღა. მან მეტოქის მცველები მოატყუა და მეორე შეაგდო. ტუნისელები აქამდეც ვერაფერს აკეთებდნენ და მატჩის მიწურულს მეორე გოლის გაშვებამ იმედები საბოლოოდ გადაუწურათ. შედეგად მსაჯის საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე იმავე პატრიკ მბომამ ელ ქუარს მესამეც გაუტანა.

მაშ ასე, კვირას ნიგერიის ყოფილ დედაქალაქ ლაგოსში დიდი ფინალი გაიმართება. ერთმანეთის პირისპირ ნიგერია და კამერუნი წარსდგებიან. როგორია ამ გუნდების ორთაბრძოლების ისტორია? საინტერესოა, რომ ნიგერია და კამერუნი აფრიკის თასის გათამაშების ფინალში ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორჯერვე კამერუნელებმა იმარჯვეს. 1984 წელს თასის გათამაშებას კოტ დივუარმა უმასპინძლა და ფინალი 3:1 დასრულდა. ოთხი წლის შემდეგ მაროკოში კამერუნელმა „ლომებმა“ „სუპერარწივებს“ მინიმალური ანგარიშით — 1:0 მოუგეს. კამერუნი ერთხელაც, 1986 წელს გავიდა თასის ფინალში. მაშინ ტურნირის მასპინძელმა ეგვიპტემ უგოლო ფრის შემდეგ მეტოქე პენალტების სერიით 5:4 დაამარცხა. ასე რომ, კამერუნი 12 წლის შემდეგ კვლავ ფინალშია.

ნიგერიამ აფრიკის თასისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ხუთჯერ გამართა. ორ ფინალზე უკვე ვთქვით. იქამდე, 1980 წელს, ნიგერიაში მასპინძლებმა ალჟირს 3:0 სძლიეს და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლნენ. ეს გუნდები 10 წლის შემდეგაც შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად მასპინძელი ალჟირი იყო და ფინალშიც 1:0 იმარჯვა. ნიგერიელთა ბოლო ფინალი კი 1994 წელს ტუნისში ჩატარდა. „სუპერარწივებმა“ ზამბია 2:1 დაამარცხეს. თასის შემდგომ გათამაშებებში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ: 1996 წელს თავად განაცხადეს უარი სამხრეთ აფრიკაში წასვლაზე, 1998-ში კი აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოიჩინა პრინციპულობა და ადამიანის უფლებების უხეშად დამრღვევ ქვეყანას კარი მიუჯახუნა.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, კამერუნი ნიგერიას გადამწყვეტ მატჩებს ყოველთვის უგებს, მაგრამ ერთიცაა, ნიგერიას შინ აგერ უკვე 19 წელია, არ წაუგია. ასე რომ, კვირას ერთ-ერთ გუნდს ტრადიციის დარღვევა მოუწევს.

**გიორგი დარჯანია**




კამერუნი — ტუნისი 3:0. კამერუნელი რიგობერტ სონგის ეფექტურ დარტყმას ტუნისელი ზეიდ ჯაზირი დაბნეული შეჰყურებს

# ჰოლანდია

### პსვ 4:0 აიაქსი

1:0 ვან ბომელი (5), 2:0, 3:0, 4:0 ვან ნისტელროი (12, 16პ, 84)

### როდა 3:2 უტრეხტი

0:1 დე იონგი (36), 1:1, 2:1 პეეტერსი (67 77), 2:2 დიკუიზენი (87), 3:2 დოომერნიკი (89)




პსვ — აიაქსი 4:0. „აიაქსის“ განადგურება ეინდჰოვენელმა ვან ბომელმა დაიწყო

**ჩემპიონატში** სამი დიდი და ტიტულიანი გუნდია — ამსტერდამის „აიაქსი“, როტერდამის „ფეიენოორდი“ და ეინდჰოვენის პსვ. მათ შორის დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და მათ ჰოლანდიურ სუპერმატჩებადაც ნათლავენ. წლეულს ისე დაემთხვა, რომ ორი სუპერმატჩი ზედიზედ ჩატარდა — ერთი კვირის წინ „ფეიენოორდი“ ლიდერ პსვ-ს ეწვია და 0:1 დამარცხდა. მორიგ ტურში კი გულშემატკივარი პსვ-სა და „აიაქსის“ დუელს ელოდა.

„აიაქსს“ საუკეთესო დღეები ნამდვილად არ უდგას. ბოლო წლებში კლუბი ევროპული საფეხბურთო ბაზრის მომმარაგებლად იქცა და გამოცდილი ფეხბურთელი თითქმის აღარ შერჩა, მით უმეტეს, დაცვის ხაზში.

ამიტომაცაა, რომ ამსტერდამელებმა პსვ-სთან სამარცხვინოდ წააგეს — 4:0. გუნდის მთავარ მწვრთნელ იან ვოუტერსს კი, ალბათ, ხელმძღვანელობისგან სერიოზული პრობლემები შეექმნება.

მასპინძელი პსვ შეხვედრის დებიუტშივე დაწინაურდა. მე-5 წუთზე მარკ ვან ბომელმა პირველი გოლი გაიტანა და თავისი გუნდის გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა. გაშვებულმა ბურთმა „აიაქსის“ დაცვა კიდევ უფრო დააბნია და 7 წუთში მეორე გოლიც გაუშვა. მისი ავტორი რუუდ ვან ნისტელროი გახლდათ.

ნისტელროი წლევანდელ სეზონში მართლაც დიდებულად ასპარეზობს. იგი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. გავრცელდა ხმები, თითქოს ფეხბურთელის შეძენის სურვილი ლონდონის „ჩელსიმ“ უკვე გამოთქვა. ვიალის გუნდი მზადაა, ნისტელროიში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, რაც ბრიტანული სატრანსფერო ბაზრისთვის სარეკორდო თანხად ითვლება.

ჭორებს თავად ვიალისა და „ჩელსის“ დირექტორ კოლინ ჰაჩისონის „ფილიპსის“ სტადიონზე ყოფნამაც შეუწყო ხელი, თუმც თავად ჰაჩისონმა განაცხადა, რომ ყოველგვარი მოსაზრება ჯერჯერობით გაზვიადებულია: „პსვ-ს ხელმძღვანელობასთან არ გვისაუბრია. თამაშს მხოლოდ იმიტომ ვესწრებოდით, რომ ამგვარი შეხვედრები ჰოლანდიაში იშვიათია, აქ მრავალი ახალგაზრდა ტალანტის აღმოჩენა შეიძლება. ვიმეორებ, ჯერჯერობით არავისთან გვისაუბრია“.

„აიაქსის“ წინააღმდეგ ნისტელროიმ მართლაც დიდებულად იასპარეზა. უკვე მე-16 წუთზე დუბლი შეასრულა, 84-ზე კი მეტოქის განადგურებას დაუსვა წერტილი, როდესაც სეზონში თავისი მეხუთე ჰეთ თრიქი გააკეთა. ჯამში მას უკვე 26 გოლი დაუგროვდა და, როგორც მოგახსენეთ, საუკეთესო ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს.

თავად პსვ-ს ხელმძღვანელობა თავდამსხმელის გაყიდვას ჯერჯერობით უარობს. „ფეხბურთელი არ იყიდება — აღნიშნა კლუბის პრესატაშემ, თუმცა იქვე დაამატა — თავად ნისტელროიმ გვთხოვა, ნებისმიერი დიდი კლუბის ხელსაყრელი წინადადება განვიხილოთ, რაზეც მას დავეთანხმეთ. ის საუკეთესო ბომბარდირია და ამას იმსახურებს. მაგრამ ჯერჯერობით არავისთან გვისაუბრია, ამიტომ ყოველგვარი მოსაზრება გაზვიადებულია“.

პსვ-„აიაქსის“ მატჩის პარალელურად კიდევ ერთი შეხვედრა ჩატარდა. „როდამ“ „უტრეხტს“ უმასპინძლა და დაამარცხა — 3:2. თუმცა ამას ცხრილის ზედა ნაწილზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

„აიაქსის“ დამარცხებით კი პსვ-მ ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა და უახლოეს მდევარ „ფეიენოორდს“ ხუთი ქულით გაუსწრო. თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ როტერდამელებს შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული. „ფეიენოორდის“ მსგავსად 20 მატჩი გამართა „აიაქსმაც“ და ახლა 40 ქულით მეოთხეა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 21 | 15 | 2 | 4 | 65:17 | 47 |
| ფეიენოორდი | 20 | 12 | 6 | 2 | 39:21 | 42 |
| ჰერენვენი | 20 | 13 | 2 | 5 | 39:20 | 41 |
| აიაქსი | 20 | 12 | 4 | 4 | 51:30 | 40 |
| ტვენტე | 20 | 11 | 7 | 2 | 36:19 | 40 |
| ვიტესი | 21 | 11 | 6 | 4 | 40:29 | 39 |
| ალკმარი | 21 | 11 | 2 | 8 | 41:35 | 35 |
| ტილბურგი | 20 | 10 | 4 | 6 | 34:35 | 34 |
| როდა | 20 | 10 | 3 | 7 | 33:27 | 33 |
| ვალვაიკი | 21 | 10 | 2 | 9 | 31:39 | 32 |
| უტრეხტი | 20 | 8 | 1 | 11 | 32:38 | 25 |
| გრააფსხაპი | 21 | 4 | 8 | 9 | 25:34 | 20 |
| სპარტა | 20 | 6 | 2 | 12 | 28:44 | 20 |
| ნაიმეგენი | 20 | 4 | 4 | 12 | 24:41 | 16 |
| მაასტრიხტი | 21 | 4 | 4 | 13 | 27:45 | 16 |
| სიტარდი | 20 | 3 | 5 | 12 | 25:36 | 14 |
| კამბური | 19 | 2 | 4 | 13 | 17:41 | 10 |
| დენ ბოსხი | 21 | 2 | 4 | 15 | 20:56 | 10 |

გიო ახვლედიანის

სვეტი

# წესი

რა ვთქვათ ფეხბურთის წესებზე?

რომელია ფეხბურთის მთავარი წესი?

აბა, იოლად თუ გასცემს კაცი პასუხს ამ კითხვას.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ ეს თამაშგარე მდგომარეობის წესია. დიახაც რომ ასე ჩანს. თამაშგარე რომ არ შემოეღოთ ჭკვიან ძიებს, ნახავდით რაც იქნებოდა. ფეხბურთს სულ სხვა რამ იერი დაედებოდა.

მაგრამ განა მთავარი ის არის, რომ თამაშგარესთან ერთად აკრძალვათა მთელი ცხრილი არსებობს? კვანტის გამოდება, ხელის კვრა, წინ გადაღობვა, სახიფათო თამაში — ესენი ყველაფერი აკრძალულია. და წარმოიდგინეთ, რომ ამგვარი შეჩერება დაშვებული იყოს? მაშინ ვინღა მოიგონებდა ისეთ ლამაზ და მოხდენილ რამეს, ჩვენს ენაზე „პადკატი“, სხვანაირად კი ბურთის სუფთადართმევის ხერხი რომ ეწოდება.

ფეხბურთი განუწყვეტელი ჭარიმებისგან შედგება. მსაჯი განუწყვეტლივ სტვენს და წესების დაცვისკენ მოუწოდებს მოთამაშეებს. პრინციპში, ასეთია ყველა თამაში. მაგალითად, ამერიკულ ფეხბურთში სათამაშო ერთი საათი ბარე ოთხ საათად გადაიქცევა ხოლმე, კალათბურთში კი ორმოცდარვა წუთს, ორსაათნახევარს ვუმზერთ. იქ დრო სუფთად ითვლება და თამაშიც, გადაბმულად ათოც წამს გრძელდება. ამერიკული ფეხბურთის მსაჯი რომ მოჰყვება იმის ახსნას ბურთი სად, როგორ და რატომ უნდა გათამაშდეს, კაცს თამაში სულაც მიგავიწყდება.

ფეხბურთში საქმე სხვაგვარადაა, რაგბისა არ იყოს, ფეხბურთს თავის დრო მონიშნული აქვს და ბურთი თუნდ ბოსტანში გადავარდეს, დრო არ გაჩერდება. მსაჯის ჯიბეში შენახული სამი წუთი (თუ რაც არის), ერთადერთი გამონაკლისია და ხშირად რევოლუციებს ახდენს თამაშში.

ამ, ჩამოთვლილ სახეობათაგან განსხვავებით ფეხბურთი ფეხით ითამაშება და მისი სირთულე და სილამაზეც ამაშია. აქ ბურთს ვერ ჩაბღუჯავ, ფეხით უნდა ატარო. ფეხით რომ ატარებ, ხელი არ უნდა გკრან. ეს გახლავთ ფეხბურთის უპირატესობა სხვა განთქმულ თამაშებთან და ფეხბურთის წესებიც ამაზეა აგებული, რომ კაცს იმის უნარი ჰქონია, ბურთი ისე ათრიოს ფეხით, რომ ვერ აართვა, შენ კი შენი უსუსურობის გამო მას ხელით ვერ გააჩერებ.

ვიღაც ღვთისნიერმა (ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ) გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაადგინა, რომ მეკარეს ხელით თამაში შეუძლია მხოლოდ მინდვრის შემოსაზღვრულ მონაკვეთში და არა მთელ მოედანზე (ჰოკეისგან განსხვავებით).

მგონია, რომ ამ წესმა განსაზღვრა ფეხბურთის იერსახე და გამოარჩია და აღაზევა იგი სხვა თამაშებზე.

რა თქმა უნდა, თამაშგარე და კვანტის აკრძალვაც, მაგრამ...

ფეხით, ფეხით!

ფეხბურთი ფეხით ითამაშება.

ხანდახან თუ გამოერევა ხელი და ღმერთისას დაარქმევენ, თუმცა ეშმაკი ბიჭისა ჩანს.



# ასეთია ცხოვრება

**ამბობენ, მაიკლ ოუენის დაშავება ინგლისის ნაკრების მწვრთნელს, კევინ კიგანს გახარებია, სეზონის ბოლომდე დაისვენებს და ევროპის ჩემპიონატს განახლებული ენერგიით შეხვდებაო. როგორც ჩანს, კიგანი მართალია, ოუენი თავად ამბობს, რომ მაისში ფორმაში იქნება.**

**— ყველაზე მეტად ხალხს ეს აინტერესებს: ითამაშებთ ევრო 2000-ზე თუ ვერა?**

— მიმდინარე სეზონის ბოლო ათითორმეტი შეხვედრისთვის მზად ვიქნები, ევროპის ჩემპიონატისთვის კი პრობლემა არ მექნება. ვერც წარმომიდგენია სხვანაირად.

**— 20 წლისა მოიყარეთ. ამით თქვენს ცხოვრებაში რამე ხომ არ შეცვლილა?**

— ამომავალი ვარსკვლავი და იმედისმომცემი ახალგაზრდა აღარ გახლავართ. უკვე ბევრი რამ გამოვცადე, მრავალი სახელიც მიწოდეს და შემარქვეს, ასე რომ, რას იტყვიან ჩემზე მომავალში, არ მაღელვებს. ბოლო რამდენიმე წელიწადით ძლიერ კმაყოფილი გახლავართ და ვიმედოვნებ, რომ 20-დან 30 წლამდე კიდევ უფრო მეტს მივაღწევ.

**— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად საკმაოდ დაბრძენებული ჩანხართ.**

— კარიერა ჩინებულად დავიწყე, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია. ჯერჯერობით მეოთხე სეზონია რაც დიდ ფეხბურთს ვთამაშობ. 17 წლისა რომ ვიყავი, რამდენიმე შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, შემდეგ ორი სრულყოფილი ჩემპიონატი ჩავატარე, ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, მეოთხე სეზონი მიმდინარეობს. მოკლედ, პრემიერლიგაში გვარიანი გამოცდილება შევიძინე, ნაკრებშიც თითქმის 20 შეხვედრა დამიგროვდა, ეს კი ცოტა არ არის და ამით ფრიად კმაყოფილი გახლავართ.

**— იმთავითვე იცოდით, რომ პრემიერლიგის ვარსკვლავი გახდებოდით?**

— რომ გიპასუხოთ ამას ველოდი მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ იმას, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი ვიმედოვნებდი და ოცნება 17 წლისამ ავიხდინე კიდეც. მას მერე ბევრი რამ მოხდა. მქონდა გაბრწყინებები და ჩავარდნები. მაგალითად ბოლო რამდენიმე თვეა ძლიერი ჩავარდნა მაქვს.

**— გაბრწყინებებსა და ჩავარდნებს ერთნაირად აღიქვამთ?**

— გაბრწყინება და ჩავარდნა სხვადასხვაა, მაგრამ მათ შესახვედრად მზადყოფნაა საჭირო. თავიდან ყველა იმას ამბობდა, ეს ბიჭი რა კარგად თამაშობსო და ინგლისური ფეხბურთისა და „ლივერპულის“ მომავლად მსახავდნენ, შემდეგ, როდესაც დავშავდი, ყველაფერი შეიცვალა, ხალხი მეკითხებოდა, ახლა რაღა უნდა ქნაო. ყველა ფეხბურთელის ხვედრი ასეთია, განსაკუთრებით კი სახელგანთქმულის.

**— ორთავა კუნთის ტრავმამ ხომ არ გაგტეხათ?**

— რას ვიზამ, ცხოვრებაში ყოველთვის კარგი ამბები როდი ხდება. ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან დავშავდებოდი, ვინაიდან არ არსებობს ფეხბურთელი კარიერა ტრავმის გარეშე რომ გაიაროს. მთელი ხუთი თვე გამოვტოვე, მრავალ პრობლემასაც შევეჯახე, მაგრამ სხვა რა გზაა, ჩემმა სხეულმა ასე გადაწყვიტა.

**— ფორმა რომ დაკარგეთ, ბევრმა გაგაკრიტიკათ. ძალიან განიცადეთ?**

— არა, რადგან ვიცოდი, რომ ასეთი დროება მალე დამიდგებოდა. მართალი გითხრათ, კმაყოფილიც კი გახლავართ, რომ კრიტიკას ადრეულ ასაკშივე გადავაწყდი. საკუთარ ტყავზე ვიწვნიე თუ რანაირ ხალხს შეიძლება შეხვდე. ჯერ კიდევ მაშინ, კარგად რომ ვთამაშობდი და ყველა მაქებდა, ვამბობდი, რომ მასმედიას ორი მდგომარეობა აქვს, ან გადამეტებით გაქებს ანაც გადამეტებით გლანძღავს.

**— კრიტიკა გულს გტკენთ?**

— თუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვინმეს ჩემზე, როგორც ფეხბურთელზე, საკუთარი აზრი აქვს, კრიტიკა გულს არ მტკენს. ყველა ადამიანს ყველა ფეხბურთელზე, მათ რიცხვში ჩემზე, საკუთარი აზრი აქვს. მეც მაქვს ჩემი შეხედულება. ზოგი კარგ მოთამაშედ მიმაჩნია, ზოგი ცუდად, მაგრამ როდესაც ვინმე ჩემს პირად ცხოვრებაში იქექება და ამბობს, რომ მე ცუდი ადამიანი ვარ ან ჩემს ოჯახს ეხება, მაშინ ძალიან ნაწყენი ვრჩები.

**— როგორ ფიქრობთ, მათ, ვინც ეჭვის თვალით გიყურებთ, უნდა დაუმტკიცოთ, რომ ცდებიან?**

— არა მგონია, ხალხისთვის, მით უფრო ახლობლებისთვის, რაიმე დასამტკიცებელი მქონდეს. კარგად ვიცი, რაც მაქვს გაკეთებული და ვიცი, რომ ეს უმაღლეს დონეზე მოხდა, ამიტომ პასუხის გაცემა არავისთვის არის საჭირო. მე საკუთარი თავისთვის და „ლივერპულის“ გულშემატკივართათვის ვთამაშობ. იგივეს ვიტყვი ინგლისის ნაკრების ქომაგებზეც. იცით, ერთადერთი, რაც მინდა, ყველა შეხვედრაში მონაწილეობა და შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენაა.

თარგმნა
ბაბუნა ქედიამ

# გოოოოლ!

მსაჯი გოლს ზეიმობდეს, ალბათ, პირველად ფეხბურთის ისტორიაში ლივერპულში, „ენფილდზე“ იხილეს. „ლივერპული“ „ლიდს იუნაიტედს“ მასპინძლობდა და 3:1 მოუგო კიდეც, მაგრამ დამსწრეთ თავად შეხვედრაზე მეტად უთუოდ ის დაამახსოვრდებათ, როგორ გაიხარა ცნობილმა არბიტრმა მაიკ რიდმა, როდესაც პატრიკ ბერგერმა სტუმრებს გოლი გაუტანა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ რიდი სასტიკად გაკიცხა და 19 მარტს იმავე ლივერპულში, „ევერტონის“ თამაშის მსაჯობისგან გაანთავისუფლა.

ერთ-ერთ რადიოგადაცემაში პირდაპირი ჩართვების დროს მას არც ლიდსელმა ქომაგებმა დააკლეს კრიტიკა, თავად კი აი, რა თქვა:

„როდესაც მსაჯი ჯარიმას დაზარალებული გუნდის სასარგებლოდ არ ნიშნავს, შეტევა იშვიათად მთავრდება გოლით. იმ შეხვედრაში ლიდსელებმა ვლადიმირ შმიცერი წააქციეს, მაგრამ ბურთი ლივერპულელებს დარჩათ და იერიშის გაგრძელების საშუალება მივეცი. ეპიზოდი გოლით დასრულდა, რამაც ჩემი გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა და ძალიან გავიხარე.“

შემდეგ რიდმა დასძინა: „ბედნიერი ვარ, რომ უმაღლეს დონეზე 15 წელიწადია ვსჯი, მაგრამ არანაკლებ მახარებს ის, რომ ეს სეზონი ჩემთვის ბოლოა.“

სატირბოლოტე

კითხვა • პასუხი

***— ერთი ეს მითხარი, მიუნხენის „ბაიერნი“ ჯობია, თუ ლევერკუზენის „ბაიერი“?***

— აბა, რა ვიცი, მე იმას ვფიქრობ, მათეუსი რომ წავა, „ბაიერნს“ რა ეშველება.

***— რატომ?***

— სამ წელიწადს არ ვარგოდა, ახლა ისევ ვარგა.

***— მერე, მაგას რა ჯობია?***

— მაგას ჯობია, წინ გაიხედონ.

***— „ბაიერნი“ ვეღარ გავა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.***

— ეგ ვინ გითხრა?

***— ასე ჩანს.***

— სად, ყავის ჭიქაში?

***— არა, ყოველ წელიწადს ხომ ვერ გავა?***

— სულ „იუვენტუსი“ არ გადიოდა?

***— გადიოდა, თორე ეგეც რამეს იგებდა.***

— აბა, ეხლა გაუშვი, ნახავ, თუ არ მოიგებს...

***— ეხლა სად გავუშვა? ინტერტოტოდან ლიგაში ვერ ხვდებიან.***

— „ლაციო“ ხომ არის იქ? გაქაჩე „ლაციო“.

***— „ლაციოს“ უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი პირველ ოქტომბერს იყოს და ეგრე სად არის?***

— ეგებ სწორიც იყოს. აბა, ცოდვა არ არი ზაფხულში ინტერტოტოს თამაშობდე და ზამთარში ჩემპიონთა ლიგას?

***— მაშინ ბრაზილიაში უნდა გადავბარგდეთ.***

— ისე, მართალი ხარ. თუ ევროპაში ამდენი ბრაზილიელია, რატომ არ შეიძლება ბრაზილიაში წავიდნენ ევროპელები?

***— იქ სხვანაირ ფეხბურთს თამაშობენ.***

— იქ ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რომ აქაურებს შვებულებად მოეჩვენებათ.

***— ვინც ვარგოდა, ყველა აქ წამოვიდა და იქ ვინღამ ითამაშოს?***

— ჰოდა, ევროპელები გავუშვათ.

***— კარგი. ვინ გავუშვათ?***

— მაგალითად, რონალდო.

***— რონალდო ბრაზილიელია.***

— ამ შემთხვევაში ბრაზილიელობა ხელს არ შეუშლის, ბოლოსდაბოლოს გაეროს ელჩია. თან, მაინც არ თამაშობს...

***— არა, არ გამოდგება.***

— მაშინ გარი პალისტერი.

***— გარი პალიტსერი რამ გაგახსენა?***

— იმ დღეს ტელევიზორში მოვკარი თვალი და მოსუქებული მეჩვენა. იქ სიცხეა და ცოტათი გახდება.

***— ეგრე არ გამოვა. ისინი ვარსკვლავებს აგზავნიან, ჩვენ კი ბებრუხანებს ვთავაზობთ.***

— ფიგუ გავუგზავნოთ.

***— ფიგუც ცოტათი ბრაზილიელია. თან იქ ყველა ეგეთია.***

— თუ ყველა ფიგუსნაირია, მაშინ ვინღა უნდა გავგზავნოთ?

***— ვთქვათ ძმები დებურები?***

— ეგენი აზიზი ხალხია. „ბარსაში“ არ კადრულობენ ვარჯიშს და იქ იკადრებენ?

***— და გაზა?***

— გაზაო?

***— ჰო, გაზა ხომ არ გავგზავნა?***

— გაზას კონვერტით თუ გავგზავნით როგორც წერილს და მერე პასუხს დაველოდებით.

***— რო იფიქრონ კონვერტში ბომბიაო?***

— კი, მართალი ხარ, ნერვიულობა მოგვიწევს, ჩვენც და იმათაც.

# ვლადიმერ სტეფანიას ზებგერითი ცხოვრება და ვირტუალური სიყვარული

ვალდიმერ სტეფანია პირველი და დღემდე ერთადერთი პროფესიონალი ქართველი კალათბურთელია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

უკვე მეორე წელია, ვოვა ოკეანის გაღმა ბინადრობს, იქ, სადაც ცოცხალი ლეგენდები ნაღდ კალათბურთს თამაშობენ. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ის ადგილი არ გახლავთ, უბრალო გამვლელმა ფეხი მოიკიდოს. შემთხვევითობა გამორიცხულია. ისიც სათქმელია, რომ არც სტეფანიაა ისეთი, წარმატებით რეტი დაესხას და საკალათბურთო მექის აზვირთებულ ტალღებს თავი ნაპირზე გამოარიყინოს... სხვა ზნისა და ხასიათის კაცია, მართლა შრომისმოყვარე და მიზანსწრაფული




ვლადიმერ სტეფანიას თბილისში ჩამოსვლა ძალიან ძნელი და ძვირი საქმეა

*თავის მეორე პროფესიულ სეზონს იმედიანად შეხვდა სტეფანია. „სიეტლ სუპერსონიქსის" მწვრთნელი, პოლ ვესტფოლიც თითქოს ხუთეულში უმზადებდა ადგილს. დრო გადიოდა, ვლადიმერი კი სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა „ზებგერითების" შემადგენლობაში.*

*უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკმური ჟამი წარსულს ჩაბარდა. ამას ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიც გვაფიქრებინებს. ვესტფოლმა აზრი იცვალა და ვოვას მომავლის იმედი ისევ ჩაესახა. ახლა უკვე ჩვენებურის მხრებზეც გადადის მომქანცველი სეზონის სიმძიმე, რისთვისაც მას თავი არასოდეს აურიდებია. ვლადიმერ სტეფანიას ყოველივეზე თავისი აზრი აქვს, საკუთარ თავზეც სხვაგვარად მსჯელობს. ეს ინტერვიუც ცოტა უცნაურად დაიწყო, თავიდან მონოლოგს უფრო წააგავდა...*

— მე რომ ვარსკვლავი ვიყო, სკამზე არავინ დამსვამდა. ისე არ გაიგოთ, თითქოს მზად არ ვიყო, ან კიდევ ხელი მქონდეს ჩაქნეული. უბრალოდ, აქ სულ სხვა პოლიტიკაა, ფულით ძალიან ბევრი რამ იზომება, შენს შესაძლებლობებს კი ითვალისწინებენ, მაგრამ კონტრაქტს უფრო წინ აყენებენ. ვისაც ბევრს უხდიან, ის მეტსაც თამაშობს. იქნებ მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ შევეცდები, ასე ავხსნა: ვთქვათ, ერთროულად შეიძინეთ „ვერსაჩეს" ორი კოსტიუმი, ერთში ათასი, მეორეში კი ასი დოლარი გადაიხადეთ. უქმეებზე გამოსაჩენ ადგილას რომელს ჩაიცვამთ? რა თქმა უნდა, ძვირფასს. ისე კი, ყოველდღიურად, იაფფასიანს იხმართ. მეც ასე ვარ. როცა კალათბურთელს წელიწადში 15-16 მილიონს უხდიან, მისგან გამარჯვებებსაც ითხოვენ. ასეთის უთამაშებლობა იმას ნიშნავს, წყალში ყრი ფულს. მე და ჩემნაირები კი სხვა ფენას ვეკუთვნით. ხომ მიმიხვდით?

**— მაშ, თქვენი იშვიათი თამაში უნებლიე კანონზომიერებას უნდა მივაწეროთ?**

— ამის გარდა ბევრი სხვა პრობლემაც იყო, ყველაფრის ახსნა შეუძლებელია.

**— იქნებ მიგვანიშნოთ მაინც?**

— ფულთან დაკავშირებით უსიამოვნებაც ჩამოვარდა გუნდში. წამყვან კალათბურთელებთან უთანხმოება ჰქონდა „სონიქსის" ხელმძღვანელობას, ამანაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩემს უთამაშებლობაზე.

**— პირადად თქვენი და მწვრთნელის, ვესტფოლის ურთიერთობა ხომ არ დაიძაბა?**

— არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. მწვრთნელთან ძველებურად კარგად ვარ.

**— ხშირად საუბრობთ?**

— ძალიან იშვიათად, ან კი რაზე უნდა ვილაპარაკოთ. უბრალოდ, ამას წინათ მე თვითონ ჩამოვუგდე სიტყვა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სხვა გუნდში თუ გამიშვებთ-მეთქი. ვთხოვე, თუ არ ვჭირდები, გამცვალონ.

**— რა გიპასუხათ?**

— არაფერი, ბანზე ამიგდო სიტყვა.

**— „სონიქსის" ბოლო სამ შეხვედრაში რომ გათამაშათ, იმ საუბრის შედეგი ხომ არ არის?**

— არ ვიცი, რას მივაწერო, მაგრამ ჩემმა ნათქვამმაც რომ გაჭრა, ფაქტია. ისე, ბოლო დროს ვესტფოლმა ზოგი რამ შეცვალა გუნდის თამაშში, თუ ადრე სამი ცენტრით გადიოდა ფონს, ახლა ოთხივეს გვათამაშებს. იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. ვეტერანები ძალიან დაიღალნენ, ჰორას გრანტი თითქმის შეუცვლელად თამაშობს და ხშირად 2-3 ქულით ტოვებს მოედანს. ვინ ბეიკერიც ძლივსლა დადის, ასაკოვანია და ბევრიც აღარ შეუძლია. ამიტომ ახლა სულ ორი ცენტრით ვთამაშობთ, უმეტესად, გრანტი და მაკკოი არიან ძირითადში, ვინც დაიღლება, ან ფოსტერი შეცვლის, ან — მე.

**— თამაშის შანსი რომ მოგეცათ, კიდევ ფიქრობთ სხვა გუნდში გადასვლაზე?**

— მე ეს არც მდომებია. ძლივს ფეხი მოვიკიდე, ქალაქსაც შევეჩვიე, ამის მერე სხვაგან გადაბარგება, ვფიქრობ, ძალიან გამიჭირდება. მაგრამ რას ვიზამ, ასეთი სამუშაო მაქვს და ბედს უნდა დავემორჩილო.

**— კი მაგრამ, რომ არ ჭირდებოდეთ, მაშინვე არ გეტყოდათ ვესტფოლი? ყოველ შემთხვევაში, გაგრძნობინებდათ მაინც. პირიქით კი მოხდა, ახლა სულ გათამაშებთ...**

— მეც ძალიან მეეჭვება, რომ სხვა კალათბურთელში გამცვალონ. საქმე ისაა, რომ რასაც მე მიხდიან, იმ ფულად გამოცდილ მოთამაშეს ვერ შეინახავენ. ყველაფერი წინასწარ აქვთ გათვლილი.

**— ისე, სხვა გუნდები ხომ არ...**

— როგორც მენეჯერი ამბობს, არიან ჩემი მსურველები, თუმცა ამით სერიოზულად არცკი დავინტერესებულვარ და დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით.

**— ბოლო მატჩში დენის როდმანის წინააღმდეგ მოგიწიათ თამაშმა. არა მგონია, უკმაყოფილო იყოთ საკუთარი თავით...**

— განსაკუთრებულიც არაფერი, ჩვეულებრივად ვითამაშე. როდმანი კი აშკარად ვერაა ფორმაში.

**— მაშ, არ გაგჭირვებიათ?**

— სულაც არა. თან ბევრიც არ მითამაშია, თხუთმეტიოდე წუთი კი, ვფიქრობ, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ტოლ-სწორად შევებრძოლები.

**— რატომ თხუთმეტი? ალბათ, ფიზიკურად მოისუსტებთ...**

— რა თქმა უნდა, ჯანის გარეშე შორს ვერ წახვალ, იმდენი კი ჯერ არ შემიძლია, მთელი თამაში სტაბილურად ჩავატარო.

**— როგორ ფიქრობთ, წლეულს ყველაზე უკეთ ვისთან ითამაშეთ?**

— ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, მე რომ კმაყოფილი დავრჩენილიყავი, ასეთი რამ არ ყოფილა.

**— წლევანდელი „სონიქსი" უფრო ძლიერია თუ შარშანდელი?**

— შედარებაც არაა, წლევანდელი სჯობს. წინა სეზონთან შედარებით გუნდი გაახალგაზრდავდა და ეს თამაშსაც დაეტყო. „სონიქსი" უფრო სწრაფი და მოძრავი გახდა, შარშან ამ დროს კი ინერციითღა ვთამაშობდით, კალათბურთელებსაც თითქოს მთლად გამოსცლოდათ არაქათი. ახლა სხვაგვარადაა, საერთოდაც, სხვა კლუბებისგან განსხვავებით, ჩემს გუნდს დიდი, ჯერაც გამოუყენებელი პოტენცია გააჩნია. ახალგაზრდებს მეტის გაკეთება შეგვიძლია, შორს არ წავალ, რაშარდ ლუისს გავიხსენებ: „დალასთან" მეტად ენდო მწვრთნელი და მანაც 30 ქულა გაახერხა.



ვლადიმერ სტეფანია დენის როდმანის წინააღმდეგ

**— ფეხის ტკივილი აღარ გაწუხებთ?**

— გაცილებით უკეთ ვარ, მაგრამ ხანდახან მაინც შემახსენებს ხოლმე თავს. აქ ისეთ პირობებში მიხდება ცხოვრება, საბოლოო განკურნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემი დღის რეჟიმი არ იძლევა ამის საშუალებას. დილით ათ საათზე ვარჯიში მაქვს, მერე სხვა ქალაქში უნდა გადავფრინდე, თუ შინ ვთამაშობთ, ოთხზე დარბაზში უნდა ვიყო, კიდევ ვარჯიში, ცალ ფარზე თამაში, შვიდზე მატჩი იწყება და ასე შემდეგ. როცა სტუმრობა გვიწევს, უფრო უარესი, სულ მგზავრობაში ვარ, რომ იტყვიან, თვითმფრინავში ვცხოვრობ, მტკივან ფეხზე ზრუნვის დრო სადღა მრჩება!

**— გასართობად, სულის მოსათქმელად ვერ იცლით?**

— არც უმაგისობაა, ღამღამობით ვიკრიბებით თანაგუნდელები, ყველასთან კარგად ვარ. ხან იქ წავალთ, ხან — აქ, გააჩნია, რა გვინდა.

**— სლოვენიაში ყოფნისას, მახსოვს, უფრო ბარებს ეტანებოდით...**

— თუ მინდა, აქაც წავალ, რა პრობლემაა. ჩემს გუნდელებს უფრო მანქანები ურჩევნიათ. ნაირ-ნაირ ლიმუზინებს დაუკვეთავენ ხოლმე და დავქრივართ აქეთ-იქით. მოწყენილი ნამდვილად არ ვარ.

**— თქვენ რის კეთება გიტაცებთ თავისუფალ დროს?**

— კომპიუტერი შემიყვარდა ძალიან. ახლახან სწორედ ისეთი კომპიუტერი შევიძინე, როგორიც მინდოდა. ერთ პროგრამას მივაგენი, სადაც ნბა-ს კალათბურთელებს გვეკითხებიან, თუ რა უნდა ვაკეთოთ კარიერის დასრულების შემდეგ. თან თავიანთ ვერსიებსაც გვთავაზობენ. საინტერესო რამეა, მართლა დაგაფიქრებს კაცს, პირდაპირ გეუბნებიან, თამაშს თავს რომ დაანებებ, ყველა ცხვირწინ მიგიხურავს კარს და აქედანვე თადარიგი დაიჭირეო. ერთი სიტყვით, ვერთობი კიდეც და ჭკუასაც ვსწავლობ.

**— რახან ასეა, მაინც რას ფიქრობთ, რა საქმეს მოჰკიდებთ ხელს?**

— იქამდე ჯერ ძალიან დიდი დროა და შესაძლოა, ბევრნაირად შემეცვალოს აზრი. კარიერის დამთავრებაზე რატომღაც არ დავფიქრებულვარ.

**— ვოვა, თქვენ ახლა ოჯახის ყველა წევრი გვერდით გყავთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

— ძალიან ბევრს. მიხარია, რომ ჩემი მშობლები და ძმა ჩემთან ერთად არიან. ეს უფრო მაგულიანებს. სამწუხაროდ, მამაჩემი მხოლოდ სტუმრად გვეწვია, ახალი წელი ჩვენთან ერთად გაატარა და მალე საქართველოში გამოემგზავრება.

**— თქვენ როდის გიხილავთ თბილისში?**

— არ ვიცი, უახლოეს მომავალში ნუ მელოდებით.

**— დავუშვათ, „სიეტლი" წლეულსაც ვერ გავიდა პლეი ოფში. მცირე შანსი თუ არის იმისა, რომ ჩამოხვიდეთ და მაისში ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეეშველოთ?**

— ძალიან მეეჭვება, რომ „სიეტლი" პლეი ოფში ვერ მოხვდეს.

**— ერთი წუთით მაინც წარმოიდგინეთ და მერე გვიპასუხეთ...**

— დრო თუ მექნება, ჩამოვალ, რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს, ნაკრებზეა საუბარი.

**— რამ შეიძლება ხელი შეგიშალოთ?**

— ვერ გეტყვით, ჩემი ჩამოსვლა ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

**— მათ შორის ფულზეც. ამერიკელები სადაზღვევო თანხას მოითხოვენ, ეს ხომ უეჭველია?**

— მაგას წყალი არ გაუვა.

**— და მაინც, რა თანხაზე იქნება ლაპარაკი?**

— ეგ არ ვიცი, დაზღვევის აგენტს უნდა დავეკითხოთ, ვფიქრობ, ათი-თორმეტი ათასი დოლარი იქნება საჭირო, შეიძლება მეტი, შეიძლება ნაკლებიც...

**გიორგი გიქაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

## წინ ოთხდღიანი არდადეგებია

10 თებერვალი

**კლიპერსი 90:112 ვანკუვერი**

კლიპერსი: ანდერსონი (29)

ვანკუვერი: დიკერსონი (40), აბდურ-რაჰიმი (22)

**საკრამენტო 96:84 დენვერი**

საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 14 მოხსნა), ანდერსონი (20)

დენვერი: მაკდაიესი (21), კლარკი (19)

**ფინიქსი 101:85 მინესოტა**

ფინიქსი: კიდი (16), რობინსონი (16)

მინესოტა: მიჩელი (16)

მთლად დაბეჩავებულ „კლიპერსს" ვეღარავინ უშველა. ვერც ახალმა მწვრთნელმა ჯიმ ტოდმა გადაჭრა პრობლემა. მის ხელში გუნდი ისევე აგებს თამაშებს, როგორც მისი წინამორბედ კრის ფორდის დროს. ლოსანჯელესელები ზედიზედ მეექვსედ დაეცნენ. ერთი შეხედვით, საგანგაშოც ბევრი არაფერია, თვით „იუტამ" წააგო ორიოდე დღის წინ ზედიზედ მეექვსე თამაში, მაგრამ ვინ მისცემს „კლიპერსის" ისედაც ერთ მუჭა გულშემატკივარს იმის გარანტიას, რომ ამ ექვსს კიდევ ერთი ამდენი არ დაემატება? ან, რაც არ უნდა სუსტი იყოს გუნდი, რა საკადრისია ასე თუ ისე მისი დონის მეტოქესთან საკუთარ დარბაზში 22 ქულის სხვაობით დამარცხება? არადა, ამ მატჩამდე „ვანკუვერს" სტუმრად ზედიზედ 15 თამაში წაეგო. ჩანს, ავადმყოფ „კლიპერსს" ერთი ხეირიანი ექიმი სჭირდება. ასეთად კი ტოდს ვერ დავსახავთ. მას ჯერ თამაშიც არ მოუგია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

ჯერჯერობით ვერ ამართლებს ახალბედა ლამარ ოდომი, ვისი დიდი იმედიც ჰქონდათ ლოს ანჯელესში. ოდომზე ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა. ეს ნიჭიერი ჭაბუკი ერთი მკვეხარა და ტრაბახა ვინმეა. სანამ სეზონში თავის პირველ ნაბიჯებს გადადგამდა, უთქვამს, ჯორდანზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და მართლაც თავის პირველ მატჩში „სიეტლთან", ჩვენებურ ვოვა სტეფანიას გუნდთან, 30 ქულა გააკეთა და შინაურებს გული იმედით აევსო, ეს რა სუპერვარსკვლავი გვეზრდებაო. ოდომი ნოემბრის საუკეთესო ახალბედაც გახდა, მაგრამ იგი თანდათან უკლებს და იანვარში და თებერვალში ხომ... შვიდი ქულა, აი, სულ ეს არის მისი მონაგარი „ვანკუვერთან". ბევრმა მასზე ხელიც ჩაიქნია.

„კლიპერსისგან" განსხვავებით, მისი მეტოქის, „ვანკუვერის" საქმეები წალმა მიდის და „დათვები", ბოლო ხანებია, მყარად იმყოფებიან დასავლეთში ბოლოდან მესამე ადგილზე. გუნდიც მხოლოდ ერთ კაცზე, შარიფ აბდურ-რაჰიმზეც აღარაა დამოკიდებული. სხვებმაც გამოიღეს ხელი, მათ შორის კი გამორჩევის ღირსია სეზონის წინ „ჰიუსტონიდან" გადმოყვანილი მაიკ დიკერსონი. მან ლამის მარტომ მოუგო საცოდავ მეტოქეს. დიკერსონმა 40 ქულის ჩაგდებით არა მარტო პირადი რეკორდი დაამყარა, არამედ ლამის მთლად კლუბის რეკორდს შესწვდა — სულ ერთი ქულა დააკლდა ბრაიანტ რივზის რეკორდამდე (41 ქულა).

„კლიპერსივით" არ დაცემულა, მაგრამ ზედიზედ „დენვერსაც" ბევრი წაგება მოუგროვდა. „საკრამენტომ" ზედიზედ მეხუთედ დაამწუხრა კოლორადოელები.

10 თებერვალს გამართულ სამი თამაშიდან ყველაზე საინტერესოდ წინდაწინვე „ფინიქს" — „მინესოტას" მატჩი მიიჩნეოდა, მაგრამ მინესოტელთა უპირობო ლიდერმა კევინ გარნეტმა ეს თამაში ჩააფლავა.

ამ უქმეებზე, 12-13 თებერვალს ქალაქ ოკლენდში გასამართ „ოლ სტარის" გამო თამაშები ოთხი დღით შეწყდება და სამშაბათს, 15 თებერვალს განახლდება.

**ივანე ქობიაშვილი**

# ბილ ბრედლი გადამწყვეტი სროლის წინ

## კალათბურთის მეგავარსკვლავმა მიზანში თეთრი სახლი ამოიღო

ერთ ცნობილ კაცს უთქვამს, ჯანმრთელი ერი ბიბლიოთეკაში არ ყალიბდებაო. მართალი ბრძანებაა. ბიბლიოთეკის გარეშე კაცი შორს ვერ წავა, მაგრამ სპორტი, უბრალოდ, ფიზიკური სრულყოფილებისთვის ზრუნვა რომ აუცილებელია, ესეც ფაქტია. ჯანმრთელი ერი არც სუფრაზე ყალიბდება...

ამერიკელებს თავი ჯანმრთელ ხალხად მოაქვთ. ძნელია, მათ შეედავო მაშინ, როცა ისედაც ერთობ პოპულარულ სპორტს თვით ქვეყნის პირველი პირები, პრეზიდენტები უწევენ პროპაგანდას. ისინი უბრალო მოკვდავებივით დარბიან, ვარჯიშობენ, თამაშობენ, ერთი სიტყვით, ეს მათი ცხოვრების წესის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ავილოთ თუნდაც აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი. მას საქსაფონით თავის შექცევა ძალიან უყვარს, მაგრამ არც სპორტზე ამბობს უარს. ამ ბოლო ხანებში იგი სისტემატურად ესწრება მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებს, თამაშებს, იღებს ფოტოსურათებს ცნობილ თუ უცნობ სპორტსმენებთან. ეჭვი არ გვეპარება, ასე მოიქცევა ისიც, ვინც კლინტონის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოვა. სხვაგვარად წარმოუდგენელია.

არაა გამორიცხული, კლინტონის შემდეგ განთავისუფლებული სავარძელი სულაც ყოფილმა პროფესიონალმა სპორტსმენმა დაიკავოს. იგი მოქმედი პრეზიდენტის სეხნიაა — უილიამ უორენ ბრედლი, ან უბრალოდ ბილ ბრედლი. მას თავისი სიცოცხლის პირველი ნახევარი კალათბურთში გაუტარებია და 60-70-იან წლებში, ათი წლის განმავლობაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კალათბურთელიც გახლდათ.



ბილ ბრედლი თამაშის დროს



БУБА БАСКЕТБОЛ

1973 წლის „ნიუ იორკ ნიქსი“.
დგანან: ბილ ბრედლი (24), ფილ ჯეკსონი (18), ჯონ ჯიანელი (40), დეივ დებუშერი (22), ვილის რიდი (19), ჯერი ლუკასი (32), ტომ რაიკერი (6), დინ მემინჯერი (7). სხედან: ჰენრი ბაიბი (17), უოლტ ფრეზერი (10), ნედ აირიში (პრეზიდენტი), მიჩელ ფელტი (მფლობელი), რედ ჰოლცმანი (მთავრი მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი) ერლ მონრო (15), დი ბარნეტი (12)

ბრედლის ლეგენდარული არ ეთქმის, თუმც მაინც დიდი კალათბურთელი იყო და თავისი კვალი დატოვა სპორტის ამ სახეობის განვითარების ისტორიაში. იმხანად ძნელად მოიძებნებოდა მასზე მოაზროვნე და ინტელექტუალი მოთამაშე. იგი შეიძლება ლარი ბერდს შევადაროთ, ოღონდ მხოლოდ თამაშის მანერით და არა მასშტაბით. თავისი დროის ლეგენდებიდან კი ბრედლი უფრო რიკ ბერის ჩამოჰგავდა, დღეს „სიეტლ სუპერსონიქსში“ მოთამაშე ქართველი ცენტრის — ვოვა სტეფანიას თანაგუნდელ ბრენტ ბერის მამას, მხოლოდ მასსავით ზეაგრესიული არ ყოფილა. ბრედლის მთავარი ღირსება არც სიმაღლე ყოფილა, არც ჯანი, არც სხვა რამ, იგი თავისი ტვინით გამოირჩეოდა სხვათაგან, მისებრ მოაზროვნეს ძნელად თუ შეხვდებოდა კაცი იმხანად. ერთხელ მისმა ლეგენდარულმა თანაგუნდელმა „ნიუ იორკში“ ვილის რიდმა თქვა: „მე არ მინახავს არავინ, ვინც მასზე უკეთესად გადაადგილდებოდა მოედანზე. იგი იმდენად სწორად ირჩევს პოზიციას, რომ გახედვა საჭირო არაა, ისე შეგიძლია გადასცე პასი და იცი, რომ ბილი აუცილებლად იქ დახვდება ბურთს“.

სტუდენტობისას ბილ ბრედლი ორჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო სტუდენტ კალათბურთელად, ეს იყო და ეს. პროფესიონალებში ყოფნისას ბრედლი არ ყოფილა პირადი ტიტულებით განებივრებული. ბრედლი გუნდურ მოთამაშედ ითვლებოდა და მუდამ სხვა კაშკაშა თანაგუნდელების ჩრდილში გახლდათ, მაგრამ მისი „ნიუ იორკი“ წარმატებებს აღწევდა და ამაში ბილს დიდი ღვაწლი მიუძღოდა. იგი 1970 და 73 წლებში გაჩემპიონებული „ნიუ იორკ ნიკერბოკერსის“ სასტარტო ხუთეულის შეუცვლელ წევრად ითვლებოდა. ძნელი სათქმელია, მის გარეშე მოიგებდა თუ არა „ნიქსი“ მაშინ პლეი ოფებს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ბრედლი ამ ორი ტრიუმფის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ავტორი იყო. იმხანად ყველაფერს ძირითად კალათბურთელთა ინდივიდუალური სიძლიერე სწყვეტდა. ამდენად, ბრედლის თამაშის მანერას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ რევოლუციურს, მაგრამ რაღაც ახალი კი იყო მასში.

ბავშვობაში ბრედლის პროფესიულ კარიერაზე არც უოცნებია. იგი დაიბადა 1943 წელს სამრეწველო ქალაქ-გიგანტის სენტ ლუისის მდიდრებით დასახლებულ გარეუბან კრისტალ სიტიში. მამა მდიდარი ბანკირი ჰყავდა და შესაბამის წრეშიც იზრდებოდა. თავის თანაგუნდელების უმრავლესობისგან განსხვავებით, ბრედლისთვის კალათბურთი არ ყოფილა ზანგური გეტოდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება. მას უბრალოდ უყვარდა სპორტი და, ცხადია, განსაკუთრებით კალათბურთი, რომელიც უბრალო ხალხთან ურთიერთობას უადვილებდა. ბანკირის ოჯახში კარგად აღზრდილ ბიჭს, რა თქმა უნდა, არც სწავლაზე უთქვამს უარი. იგი სკოლაშიც საუკეთესო მოსწავლე იყო და პრინსტონის უნივერსიტეტშიც გამოირჩეოდა. „როცა მე სკოლაში ვთამაშობდით, მინდოდა, სკოლების ჩემპიონატი მომეგო, კოლეჯში NCAA-ს ტურნირში გამარჯვებაზე ვოცნებობდი, მაგრამ მე არ ვისწრაფვოდი პროფესიული კარიერისკენ. კალათბურთი ჩემთვის უბრალოდ გართობა იყო“ — თქვა ბრედლიმ ამ რამდენიმე წლის წინ. მან ერთ თამაშში 58 ქულა ჩაუგდო რომელიღაც უნივერსიტეტს და რეკორდიც დაამყარა. სტუდენტობის ბოლო წელს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. იგი თამაშში საშუალოდ 38 ქულას აგროვებდა. წარმატებული სტუდენტური ხანის შემდეგ ბრედლიმ 1965 წლის დრაფტში მიიღო მონაწილეობა. იგი „ნიუ იორკმა“ აიყვანა პირველივე წრეში. ბრედლის დიდ საკალათბურთო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, „ნიუ იორკსაც“ მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ბილის დებიუტი ნბა-ში ორი წლის გადაიდო. ბრედლიმ, რომელიც მანამდე კალათბურთს ყოველდღიურად ხუთ საათს უთმობდა, გადაწყვიტა, სწავლა ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, რამაც ორი წლით მოსწყვიტა კალათბურთს. ორი წლის შემდეგ, 1967 წელს, როცა იგი დაბრუნდა, „ნიუ იორკი“ იმდენად იყო დაინტერესებული, რომ მას 100 ათასდოლარიანი კონტრაქტი დაუდო, რაც იმხანად არა მარტო ახალბედასთვის, არამედ საერთოდ კალათბურთელისთვის არნახულ თანხას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით ერთ ჟურნალისტს მისთვის მეტსახელად „დოლარ ბილი“ შეურქმევია და ეს თიკუნი მას დღემდე შემორჩა. თუმც „დოლარ ბილმა“ ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და თავისი გუნდის ხელმძღვანელთა გულის გასახეთქად, პირველივე პროფესიული სეზონი ჩააფლავა. ამის მიზეზი ოქსფორდში გატარებული წლები გახლდათ. ცხადი გახდა, რომ ბრედლი იმის ნახევარსაც არ წარმოადგენდა, რაც თუნდაც სკოლაში სწავლის დროს იყო. მან პირველ, 1967-68 წლების სეზონში ყველა თამაშში ვერც კი მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 8,1 ქულას დასჯერდა. „ამის ორი მიზეზი არსებობდა — იხსენებს ბრედლი მოგვიანებით, უკვე სენატორად ყოფნის დროს გამოცემულ წიგნში „თამაშის ღირებულებანი“ — მე ორი წელი ხეირიანად არ მევარჯიშა და მეორეც — ბავშვობაში მსუბუქი ფორვარდი ვიყავი, პროფესიონალებში კი უკან დამწიეს, მსროლელის პოზიციაზე და დიდი ხნის უთამაშებელს მიჭირდა ფეხმარდი მცველების დევნა“.

ბრედლის კარიერა ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მისმა შრომისმოყვარეობამ და ინტელექტმა თავისი გაიტანა. იგი საათობით ვარჯიშობდა ცარიელ დარბაზში, შემდეგ კი იდგა და საკუთარი ხმის ექოს ისმენდა, რომ მას უნდა ეთამაშა დიდი კალათბურთი. უკვე 25 წლის ვითომცდა ჩამქრალ ტალანტს ბედმა არ უმტყუნა. მეორე სეზონის დასაწყისში ძირითადის მოთამაშემ გეიზი რასელმა კოჭი მოიტეხა და ბრედლიმ ხუთეულში მისი ადგილი დაიკავა. როცა რასელი მობრუნდა, „ნიუ იორკის“ ლეგენდარულმა თავკაცმა, გუნდის გამარჯვებების სულისჩამდგმელმა რედ ჰოლცმანმა მას ბრედლი ამჯობინა, რადგან იგი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა და ჭაბუკობისდროინდელ ფორმასაც იბრუნებდა. ჰოლცმანი დიდი მწვრთნელი იყო და მის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარებოდა. 1969-70 წლების სეზონში ბრედლი გუნდის ერთ-ერთ წამყვან, შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. მისმა შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 14,5 ქულას უწია, მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ ბრედლი სრულიად გარდაიქმნა გუნდურ მოთამაშედ და თავის შედეგიანობას აღარ დაგიდევდათ. ამაზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ თავის ყველაზე წარმატებულ, 1972-73 წლების სეზონში მისი შედეგიანობა 16,1 ქულა გახლდათ და თავისი ერთადერთი „ოლ სტარიც“ (ათწლიან კარიერაში) ამ სეზონში ითამაშა. ერთადერთი სტატისტიკური მაჩვენებელი, რაშიც იგი სჯობდა თანაგუნდელებს, ეს საჯარიმოების ჩაგდების პროცენტია — 84.0, რომელიც დღემდე საუკეთესოა „ნიუ იორკის“ ისტორიაში.

1972-73 წლების სეზონი „ნიუ იორკისთვის“ ის პიკი გამოდგა, რის შემდეგაც ყველა გუნდს ეწყება დაღმასვლა და გამონაკლისი არც „ნიქსი“ ყოფილა. იმდროისთვის ბრედლის თანაგუნდელები იყვნენ: ვილის რიდი, დეივ დებუშერი, უოლტ ფრეზერი, ერლ მონრო და ფილ ჯეკსონი. მათგან ზოგი სხვა გუნდში გადავიდა, ზოგმაც კარიერა დაასრულა და 1976-77 წლების სეზონში ბრედლი ერთადერთ ნათელ წერტილად შემორჩა გუნდს, რომელსაც ათი სეზონი უერთგულა. სეზონის გასრულების შემდეგ ბრედლი არა მარტო გამოეთხოვა კალათბურთის თამაშს, არამედ მან საერთოდ გააძევა იგი თავისი ცხოვრებიდან — მიატოვა სპორტულ თემებზე ინტერვიუების მიცემა, არ უყურებდა თამაშებს ტელევიზორში. მხოლოდ კალათბურთელ მეგობრებს თუ ხვდებოდა. კალათბურთთან განშორებიდან ათი წლის შემდეგ ბრედლი სენატში აირჩიეს, როგორც ნიუ ჯერსის წარმომადგენელი დემოკრატიული პარტიიდან. მისი პოლიტიკური კარიერა უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე სპორტული. მან სახელი გაითქვა, როგორც ენერგიულმა სენატორმა. ამაში ხელი იმანაც შეუწყო, რომ ოპოზიციონერი რესპუბლიკელები მნიშვნელოვან საკითხების განხილვისას წარმოქმნილ დავაში რამდენჯერმე დამარცხდნენ. ბრედლი მონაწილეობდა რამდენიმე სერიოზული რეფორმის გატარებაში, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანის, როგორიცაა გადასახადების რეფორმა.

1996 წელს ბილ ბრედლი გამოეთხოვა სენატს და ხელი მიჰყო წიგნების წერას. ერთ-ერთი მათგანია „თამაშის ფასეულობანი“, რომელშიც საინტერესოდ გადმოგვცემს თამაშის მისეულ ხედვას, კალათბურთის არსს და რაობას.

ამ ორი წლის წინ ბრედლის ჰკითხეს, აპირებ თუ არა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასო. „ჯერ არ ვიცი, არ გადამიწყვეტია — უპასუხა მან — კაცი არ უნდა გადმოხტეს 50-ე სართულიდან, თუ არავითარი გეგმა არა აქვს“.



REUTERS ფოტოსამსახურიდან

წინასაარჩევნო კამპანია: ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან ბილ ბრედლი პორტსმუტის უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს კალათბურთის გაკვეთილს უტარებს

ახლა ბრედლი პრეზიდენტობის კანდიდატია დემოკრატიული პარტიიდან და ბევრი სწორედ მასში ხედავს სეხნია კლინტონის შემცვლელს. ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთის ჩაგდება ბილ ბრედლის სწორედ ახლა მოუწევს.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. V ტური. 9-10 თებერვალი

### E ჯგუფი

**ალბა 81:76 ცსკა**

ალბა: ალექსისი (19), ბაეკი, ბოგოევიჩი (5), დეჰია (23), ფემერლინგი (7), ჰამინკი (5), ოკულაია (6), პაპიჩი (2), როდლი (14)

ცსკა: ალანოვიჩი (4), დაინეკო (9), ეინიკისი (14), კარასიოვი (17), კირილენკო (10), კუდელინი (6), სკელინი, ტიხონენკო (9), ვეტრა (7)

**თოფაში 78:71 ბარსელონა**

თოფაში: ერდენი (2), გრიფიტი (13), ქონუქი, ოქური (2), ფარსი (2), რიმაცი (32), რივერსი (13), როჯერსი (11), ილმაზი (3)

ბარსელონა: ალსტონი (12), დიგბო (10), დუენიასი (7), ელსონი (3), გასოლი (5), გოლდვაიერი (15), გუროვიჩი (6), ნავარო (5), რენციასი (6), როდრიგესი (2)

**ჟალგირისი 82:75 ბენეტონი**

ჟალგირისი: ბატლერი (25), გარნერი (1), მასიულისი (4), შესტოკასი (7), სლანინა, სტუმბრისი (4), ტიმინსკასი (11), ზიდეკი (2), ე. ჟუკაუსკასი (19), მ. ჟუკაუსკასი (9)

ბენეტონი: დი სპალატრო, ედნი (27), მარკონატო (10), ნესი (5), ნიკოლა (10), პიტისი, სანტოსი (3), შეპარდი (16), ტრაინა (4)

### F ჯგუფი

**პაოკ 70:74 ოლიმპია**

პაოკ: ალექსანდერი (10), ანგელიდისი (5), ბაზარევიჩი (4), ბ. ედვარდსი (19), მასლარინოსი (12), ნიკოლაიდისი (14), პერალი (6), პრელევიჩი

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი, ბრეჟეცი (3), გოლემაცი (4), იასიკევიჩუსი (20), კოტნიკი (12), მილიჩი (18), მოდრიჩი, პარავინია (3), ზდოვცი (14)

**შოლე 81:68 პანათინაიკოსი**

შოლე: ბარდე (5), ბროშარი, დიუბო (17), გოტიე (6), ჰეიესი (5), ჟანო (4), მარკიზი, მიკუ (2), მილერი (19), სტივენსონი (23)

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (19), ბუდურისი (6), ბერკი (11), ფოცისი (7), ჯენტილე, კოხი (11), რებრაჩა (8), როჯერსი (6)

**ცრვენა ზვეზდა 71:96 რეალი**

ცრვენა ზვეზდა: ალექსიჩი (2), ბოლიჩი (9), ბოშკოვიჩი (5), ცვეტიჩი, იესტრატიევიჩი (9), რადმანოვიჩი (13), რაკოჩევიჩი (19), ტიცა, ტოპალოვიჩი (14), ვუიანიჩი

რეალი: ა. ანგულო (14), ლ. ანგულო (7), ჯორჯევიჩი (17), გალილეა (2), ერეროსი (10), იტურბე (11), მიხაილოვიჩი (7), კესადა, ბ. სკოტი (5), სტრიულენსი (23)

### G ჯგუფი

**ბუდუჩნოსტი 82:70 ოლიმპიაკოსი**

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (21), ბულატოვიჩი (10), პაიოვიჩი, რადონიჩი (18), შჩეპანოვიჩი (8), შეკულიცი, ტომაშევიჩი (13), ტოპიჩი (12)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), დე მიგელი (11), ტ. ედვარდსი (3), გრანტი (2), პაპანიკოლაუ (16), რობინსონი, სულისი (9), ტარლაჩი (3), ტომიჩი (20), დუშან ვუკჩევიჩი (4)

**კახა სან ფერნანდო 72:62 ვილერბანი**

კახა სან ფერნანდო: კორალესი (10), ფერნანდესი, ფორტიე (2), რომერო (10), შუტე (5), რ. სკოტი (14), სმიტი (8), სოლანა (4), ტერნერი (19)

ვილერბანი: ბილბა (14), ბლომი (5), ლარანიაგა (5), ლოვერნი (4), მაქსი (5), პერსევო (4), პლუვი (3), სილსი (8), სონკო (4)

**პო ორტეზი 57:62 მაკაბი**

პო ორტეზი: ფატუ (4), დ. გადუ (5), ტ. გადუ (13), გულიაში (8), მაზინგი, რიზაშე (16), სვინსონი (8), ტრუვიონი (3)

მაკაბი: ბრისკერი (8), კომეგისი (2), ჰენფელდი (13), ჰაფმანი (6), ჯამჩი, მაკდონალდი (16), შარფი, შეფერი (10), შელეფი (7)

### H ჯგუფი

**პივოვარნა 77:78 ფორტიტუდო**

პივოვარნა: დრაგშიჩი (4), გოლიოვიჩი (26), ჰაფნარი (26), იურაკი (2), კუნცი (8), ლისიცა (9), ნახბარი (2)

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (8), ფუჩკა (11), გალანდა (4), კარნიშოვასი (13), იარიჩი (23), მაიერსი (6), პილუტი (1), ს. ვრანკოვიჩი (12)

**ულქერი 71:72 ციბონა**

ულქერი: ალენი (36), აიდინი, კოტუროვიჩი (9), ოზთურქი (1), პოუპი (9), სარიჯა (6), თოფსაკალი (5), ილდირიმი (5)

ციბონა: ალიჰოჯიჩი (2), ბეიკერი, გირიჩეკი (12), კრსტიჩი (2), მარცელიჩი (14), ნიჩევიჩი (2), პრკაჩინი (18), სესარი (16), ი. ვრანკოვიჩი (3), ჟურიჩი (3)

**ვარეზე 76:79 ეფესი**

ვარეზე: კისურინი (9), მენეგინი (12), პოცეკო (13), სანტიაგო (14), ვესკოვი (26), ვუხერერი (2), ზანუს-ფორტესი

ეფესი: ბეშოქი (8), დრობნიაკი (12), ფირინჯიოღლუ (2), ქუთლუაი (22), მულაომეროვიჩი (20), ონანი, თურქოღლუ (15), ვექილოღლუ

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 69:51 | 75:67 | 17.02 | 68:65 | 66:64 | 12 | 3 | 1117:1024 | 27 |
| 2 | ბენეტონი | 68:72 | | 61:81 | 86:78 | 16.02 | 88:75 | 9 | 6 | 1090:1062 | 24 |
| 3 | ცსკა | 76:72 | 77:75 | | 71:76 | 90:85 | 17.02 | 8 | 7 | 1140:1118 | 23 |
| 4 | ალბა | 72:64 | 66:76 | 81:76 | | 81:55 | 80:64 | 8 | 7 | 1107:1120 | 23 |
| 5 | თოფაში | 78:71 | 86:65 | 87:73 | 76:66 | | 77:73 | 7 | 8 | 1116:1105 | 22 |
| 6 | ჟალგირისი | 60:68 | 82:75 | 84:76 | 89:70 | 62:68 | | 4 | 11 | 1084:1124 | 19 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 96:69 | 100:80 | 17.02 | 85:50 | 67:58 | 13 | 2 | 1175:1009 | 28 |
| 2 | რეალი | 63:66 | | 76:74 | 72:61 | 17.02 | 98:78 | 9 | 6 | 1141:1108 | 24 |
| 3 | ოლიმპია | 71:86 | 73:63 | | 69:63 | 69:55 | 17.02 | 9 | 6 | 1142:1128 | 24 |
| 4 | პაოკ | 69:77 | 72:71 | 70:74 | | 83:76 | 82:53 | 6 | 9 | 1065:1043 | 21 |
| 5 | შოლე | 81:68 | 83:90 | 66:77 | 48:66 | | 69:59 | 3 | 12 | 975:1100 | 18 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 61:76 | 71:96 | 83:77 | 65:64 | 56:64 | | 2 | 13 | 987:1198 | 17 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაკაბი | | 73:61 | 54:65 | 17.02 | 74:60 | 65:55 | 11 | 4 | 1116:996 | 26 |
| 2 | ვილერბანი | 70:65 | | 61:54 | 75:64 | 17.02 | 76:61 | 11 | 4 | 1050:973 | 26 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:63 | 65:55 | | 74:63 | 89:61 | 16.02 | 9 | 6 | 1040:972 | 24 |
| 4 | სან ფერნანდო | 51:75 | 72:62 | 65:66 | | 75:73 | 77:60 | 6 | 9 | 1014:1041 | 21 |
| 5 | ბუდუჩნოსტი | 59:67 | 59:65 | 82:70 | 88:65 | | 68:71 | 6 | 9 | 1081:1111 | 21 |
| 6 | პო ორტეზი | 57:62 | 72:61 | 74:73 | 79:74 | 68:72 | | 4 | 11 | 1005:1087 | 19 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 99:63 | 69:60 | 17.02 | 84:74 | 78:68 | 10 | 5 | 1126:1068 | 25 |
| 2 | ფორტიტუდო | 76:56 | | 92:78 | 79:53 | 16.02 | 81:63 | 9 | 6 | 1107:1063 | 24 |
| 3 | ციბონა | 71:69 | 71:61 | | 64:81 | 75:59 | 17.02 | 9 | 6 | 1113:1127 | 24 |
| 4 | ულქერი | 93:87 | 76:68 | 71:72 | | 79:70 | 68:78 | 8 | 7 | 1130:1140 | 23 |
| 5 | ვარეზე | 76:79 | 91:72 | 89:77 | 82:86 | | 80:70 | 5 | 10 | 1104:1149 | 20 |
| 6 | პივოვარნა | 79:91 | 77:78 | 68:81 | 84:95 | 73:83 | | 2 | 13 | 1067:1226 | 17 |

# ციბონამ ოთხშაბათი დაამარცხა

ათენის „პანათინაიკოსში" რაღაც ცუდი ხდება. ყველაფერი კი წინა კვირას დაიწყო, როცა „პანათინაიკოსი" საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მარუსისთან" დამარცხდა. გუნდის მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა წაგება მსაჯებს დააბრალა, გულშემატკივრებმა — ობრადოვიჩს. „პანათინაიკოსის" ყველაზე გადარეული ფანები კლუბის პრეზიდენტს პავლოს იანაკოპულოსს შინ მიუვარდნენ და ობრადოვიჩის, დეიან ბოდიროგას და ჟელკო რებრაჩას გუნდიდან გაშვება მოითხოვეს. სანაცვლოდ დინო რაჯა დაგვიბრუნეთო... ობრადოვიჩი და იანაკოპულოსი ერთმანეთს შეხვდნენ და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

გუნდში ცუდი ფსიქოლოგიური სიტუაცია იყო. „შოლესთან" საევროლიგო მატჩზე ათენელები შეთხელებული შემადგენლობით წავიდნენ: ებრაელი ოდედ კატაში და საბერძნეთის ნაკრების წევრები გიორ[illegible] კალაიძისი და ფრაგისკოს ალვერ[illegible]ტრავმებს იშუშებენ. მიუხედავა[illegible]ა, „პანათინაიკოსის" გაქანებისა [illegible] ძემადგენლობის მქონე გუნდს (თუნდაც აღნიშნული სამეულის გარეშე) არ უნდა გასჭირვებოდა დაფეხვილი „შოლეს" მონელება. პირიქით კი მოხდა: ათენელები წინ ვერცერთხელ გავიდნენ და მაქსიმუმი რაც გააკეთეს, დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ანგარიშის ორ ქულამდე შემცირება იყო. ამას მოჰყვა ოთხი წუთი, რომელთა განმავლობაში „პანათინაიკოსმა" ქულაც ვერ აიღო. მერე ობრადოვიჩი გაბრაზდა და მთელი ბოლმა მსაჯებსა და მოთამაშეებზე გადმოანთხია. წაგების მიუხედავად, „პანათინაიკოსი" მაინც ჯგუფის ლიდერია და მაინც პირველ ადგილზე დაასრულებს გათამაშებას. დასაფიქრებელი ის გახლავთ, რომ ისეთი დიდი მწვრთნელი, როგორიც ჟელკო ობრადოვიჩია, იქამდე დაწვრილმანდა, წაგებებს მსაჯებს აბრალებს. ადრე ასეთი რამ მისგან არავის გაუგია. ანკი, რად უნდა სჭირდებოდეს ევროპის უძლიერეს გუნდობაზე პრეტენზიის მქონე „პანათინაიკოსს" მსაჯების დახმარება, ისიც ისეთ სუსტ გუნდებთან, როგორიც „მარუსი" და „შოლეა"?

ათენელთა ქომაგები შეშფოთებულნი არიან, რადგან „პანათინაიკოსს" ორმატჩიანი სერიალი ელის პრინციპულ მეტოქესთან, სალონიკის პაოკ-თან. ხვალ ისინი საბერძნეთის ჩემპიონატში შეხვდებიან, ხუთშაბათს — ევროლიგაში. ცოტა ბერძენთა მძლეველ „შოლეზეც" ვთქვათ. ამ მოგებით გუნდმა ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ ევროლიგაში საფრანგეთი „შოლეს" გამო ადგილს არ დაკარგავს.

სამაგიეროდ, მომავალ ევროლიგაში საფრანგეთს ადგილი უკვე დაუკარგა „პო ორტეზმა", ვისაც ჯგუფში ბოლოადგილოსნობა არ ასცდება. თელ ავივის „მაკაბისთან" პოელებმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს და მეტოქეს პირველ ადგილზე გადასვლის საშუალება მისცეს. ამ საქმეში ებრაელებს მეორე ფრანგული გუნდი, „ვილერბანი" დაეხმარა, რომელმაც სევილიის „კახა სან ფერნანდოსთან" მარცხის შემდეგ ლიდერობა თანაბარქულიან „მაკაბის" გადაულოცა.



ცრვენა ზვეზდა — რეალი 71:96. ზლატკო ბოლიჩი (№10) რეალელი ლუსიო ანგულოს წინააღმდეგ

ამ ჯგუფში დიდი გამარჯვება მოიპოვა პოდგორიცას „ბუდუჩნოსტმა". ერთ დროს თბილისში „ვიტასთან" დამარცხებულმა გუნდმა საშინელ დღეში ჩააგდო ევროლიგის ერთ-ერთი ფავორიტი პირეოსის „ოლიმპიაკოსი" და მისთვის მერვედფინალში გასვლა სავსებით რეალური გახდა. თუკი ბოლო ტურში „ბუდუჩნოსტი" სტუმრად მოუგებს „ვილერბანს", მაშინ მერვედფინალში ულაპარაკოდ გავა. „ბუდუჩნოსტი" წაგების შემთხვევაშიც მიაღწევს მიზანს, თუკი „კახა სან ფერნანდო" სტუმრად დამარცხება „მაკაბისთან".

იუგოსლავიამაც დაკარგა ერთი ადგილი მომავალ ევროლიგაში. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა მადრიდის „რეალს" და ამით ჯგუფში ბოლო ადგილი გაინაღდა. ამ ჯგუფში გასარკვევი ისღაა, როგორი თანმიმდევრობით გაიყოფენ „რეალი" და ლიუბლიანის „ოლიმპია" მეორე-მესამე ადგილებს.

ეს რა მწვრთნელი ყოფილა ნევენ სპაჰია! აქამდე იგი მხოლოდ ლიუბლიანის „ოლიმპიას" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი და, ბოლო ნახევარი სეზონი, დიდი „ოლიმპიას" მწვრთნელის, ზმაგო საგადინის თანაშემწე იყო. ორიოდ კვირის წინ სპაჰია ზაგრების „ციბონას" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და მანაც ზედიზედ სამ საევროლიგო მატჩში გაამარჯვებინა შეგირდებს. ამჯერად „ციბონამ" სტამბოლში მოუგო „ულქერს", რომელსაც აკლდა თითმოტეხილი ლიდერი ჰარუნ ერდენაი. თუმცა, ამჯერად უფრო მნიშვნელოვნად „ციბონას" მიერ გატეხილი ორი ნავსი მიგვაჩნია.

დაახლოებით ათი წელიწადია, „ციბონას" არ მოუგია ევროლიგის მატჩი (ადრე — ჩემპიონთა თასის მატჩი), რომელიც ოთხშაბათ დღეს იყო დანიშნული. და, აი, ათწლიანი ნავსი ბოლო ოთხშაბათს, 2000 წლის 9 თებერვალს გატყდა — „ციბონამ" სძლია „ულქერს". ერთიც აღსანიშნავია, „ციბონამ" პირველად მოიგო თურქეთში სამი წლის შემდეგ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამის მერე ნევენ სპაჰია ზაგრებში გმირად შერაცხონ? ამ ჯგუფში მერვედფინალში გამსვლელთა ვინაობა გარკვეულია. ბოლო ტური გუნდების თანმიმდევრობასღა დაადგენს.



ბუდუჩნოსტი — ოლიმპიაკოსი 82:70. ოლიმპიაკოსელმა იგნასიო დე მიგელმა (ბურთით) დაცემულ მილენკო ტოპიჩს აჯობა

REUTERS

დაგვრჩა ერთადერთი ჯგუფი, რომელშიც ბოლო ადგილი, ბედის ირონიით, ევროლიგის ამჟამინდელმა ჩემპიონმა კაუნასის „ჟალგირისმა" დაიკავა. ამერიკელები მიჩელ ბატლერი და კრის გარნერი რომ სეზონის დასაწყისიდანვე გვყოლოდა, მერვედფინალში უკვე გასულები ვიქნებოდითო — სინანულით ამბობენ ლიტვაში. ვინ იცის, იქნებ ასეც ყოფილიყო, მაგრამ ახლა „ჟალგირისი" მხოლოდ კარს აჯახუნებს — ჯერ ოდინდელ მოსისხლე მოსკოვის ცსკა გაამწარა, ახლა — ტრევიზოს „ბენეტონი", რომელშიც შარშანდელი „ჟალგირისის" სული და გული, ამერიკელი ტაიუს ედნი გამოდის. ცსკა მეორეჯერაც დამარცხდა ბერლინის „ალბასთან", ხოლო ბურსას „თოფაშმა" ხორვატი სლავენ რიმაცის შესანიშნავი თამაშის წყალობით უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო „ბარსელონას".

ამ ჯგუფში ყველაზე დაძაბული სიტუაციაა. გარკვეულია მხოლოდ პირველადგილოსანი („ბარსელონა"), მერვედფინალში უეჭველად გამსვლელი („ბენეტონი") და აუტსაიდერი („ჟალგირისი"). დანარჩენ სამ გუნდს კი როგორც მეორე ადგილზე გასვლის, ისე მერვედფინალს მიღმა დარჩენის დაახლოებით თანაბარი შანსი აქვს.

**მერაბ რატიშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-20 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 041 ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 042 დორტმუნდი-ულმი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 043 დორტმუნდი-ულმი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 044 დუისბურგი-აინტრახტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 045 ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 046 უნტერჰახინგი-ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 13 თებერვალი | | | |
| 047 მიუნხენ 1860-ფრაიბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 048 ჰამბურგი-შალკე | 1,7 | 3,2 | 4,2 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-18 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 052 ოფენბახი-მაინცი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 13 თებერვალი | | | |
| 053 ფიურტი-ზანქტ პაული | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 054 ობერჰაუზენი-კიოლნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 055 ბერლინი-ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 056 ფორტუნა-კოტბუსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 14 თებერვალი | | | |
| 057 ბოხუმი-კარლსრუე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 25-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 058 ჩელსი-უიმბლდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 059 ქოვენთრი-სანდერლენდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 060 ევერტონი-დერბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 061 ლიდსი-ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 062 ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 063 უენსდი-საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 064 უოტფორდი-ლესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 065 ვესტ ჰემი-ბრედფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 066 არსენალი-ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| 067 მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2,4 | 2,9 | 2,6 |

ინგლისი. I დივიზიონი. 31-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 069 ბირმინგემი-ბოლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 070 ბლექბერნი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 071 ბლექბერნი-სუინდონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 072 ჩარლტონი-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 073 კრისტალ პალასი-შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 074 გრიმსბი-პორტ ვეილი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 075 იფსვიჩი-ჰადერფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 076 მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 077 მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 078 პორტსმუთი-ფულემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 079 ქუინზ პარკი-სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 080 უოლსოლი-ნოტინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 081 ვესტ ბრომვიჩი-ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. II დივიზიონი. 31-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 082 ბლეკპული-ბრისტოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 083 ბორნმუთი-ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 084 როვერსი-სკანთორპი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 085 როვერსი-სკანთორპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 086 ბერი-ლუტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 087 კარდიფი-ბრენტფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 088 ჩესტერფილდი-პრესტონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 089 ნოტსი-რექსემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 090 ოლდემი-ჯილინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 091 რედინგი-მილუოლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 092 სტოკი-კემბრიჯი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 093 სტოკი-კემბრიჯი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 094 უიგანი-კოლჩესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 095 უიგანი-კოლჩესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 096 უიკომბი-ოქსფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. III დივიზიონი. 31-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 097 ბრაიტონი-პლიმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 098 კარლაისლი-ნორთჰემპტონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 099 ჩესტერი-ჰალი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 100 ექსეტერი-დარლინგტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 101 ჰალიფაქსი-როჩდეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 102 ლინკოლნი-ტორკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 103 მაკლსფილდი-ბარნეტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 104 პიტერბრო-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 105 შრიუსბერი-ლეიტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 106 საუთენდი-ჰარტლპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 107 იორკი-როტერჰემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 108 ჩელტენემი-სუონსი ($16^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |

იტალია. სერია "ა". მე-21 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 109 ბარი-ვერონა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 110 ბოლონია-მილანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 13 თებერვალი | | | |
| 111 ფიორენტინა-უდინეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 112 ინტერი-ტორინო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 113 ინტერი-ტორინო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 114 იუვენტუსი-ლეჩე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 115 იუვენტუსი-ლეჩე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 116 პერუჯა-რომა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 117 პიაჩენცა-რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 118 ვენეცია-კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 119 ლაციო-პარმა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

იტალია. სერია "ბ". 22-ე ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 121 ჩეზენა-ტრევიზო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 122 კიევო-ალძანო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 123 ფერმანა-ნაპოლი | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 124 მონცა-კოზენცა | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 125 პესკარა-ჯენოა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 126 სამპდორია-ემპოლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 127 სავოია-პისტოიეზე | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 128 ვიჩენცა-ტერნანა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 14 თებერვალი | | | |
| 129 ატალანტა-რავენა | 1,6 | 2,7 | 7,0 |

იტალია. სერია "ც1/ა". მე-23 ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 130 ბრეშელო-ლუკეზე ($17^{30}$) | 3,3 | 2,4 | 2,3 |
| 131 კარარეზე-სპალ ($17^{30}$) | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 132 ჩიტადელა-პიზა ($17^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 133 კომო-კრემონეზე ($17^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 134 ლივორნო-ლეკო ($17^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 135 ლუმეცანე-სიენა ($17^{30}$) | 3,5 | 2,4 | 2,2 |
| 136 მოდენა-ალბინოლეფე ($17^{30}$) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 137 მონტევარკი-რეჯანა ($17^{30}$) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 138 ვარეზე-სანდონა ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |

იტალია. სერია "ც1/ბ". მე-23 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 139 ლოდიჯანი-მარსალა ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 140 ასკოლი-დი სანგრო ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 141 კატანია-არეცო ($17^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 142 კროტონე-აველინო ($17^{30}$) | 1,4 | 3,2 | 9,0 |
| 143 კროტონე-აველინო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 144 ჯულიანოვა-ბენევენტო ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 145 სტაბია-გუალდო ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 146 ნოჩერინა-ფ.ანდრია ($17^{30}$) | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| 147 პალერმო-ატლეტიკო ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 14 თებერვალი | | | |
| 148 ანკონა-ვიტერბეზე ($17^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,4 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 24-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 149 ვალიადოლიდი-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 150 რეალი-მალაგა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 151 რეალი-მალაგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 152 ბილბაო-მალიორკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 13 თებერვალი | | | |
| 153 სელტა-სოსიედადი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 154 სარაგოსა-რაიო ვალეკანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 155 რასინგი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 156 ესპანიოლი-სევილია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 157 ალავესი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 158 ბეტისი-ბარსელონა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 159 ნუმანსია-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 160 ლევანტე-ბადახოსი | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 13 თებერვალი | | | |
| 161 ატლეტიკო "ბ"-კორდობა ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 162 ლეგანესი-კომპოსტელა ($15^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 163 ოსასუნა-ესტრემადურა ($15^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 164 ელჩე-ეიბარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 165 ვილიარეალი-ხეტეფე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 166 სპორტინგი-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 167 უელვა-ლეიდა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 168 ტოლედო-ლოგრონიესი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 169 მერიდა-ლას პალმასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 170 ტენერიფე-ალბასეტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

პორტუგალია. 21-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 171 ბოავიშტა-ლეირია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 172 ბოავიშტა-ლეირია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,4 |
| 173 სანტა კლარა-სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 13 თებერვალი | | | |
| 174 ფარენსე-მარიტიმუ | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 175 ალვერკა-ბელენენსეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 176 ჟილ ვისენტე-გიმარაეში | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 177 ბრაგა-კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 178 ამადორა-სპორტინგი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 179 რიუ ავე-პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| 180 სეტუბალი-ბენფიკა | 5,0 | 3,2 | 1,6 |

ჰოლანდია

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 181 კამბური-სიტარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 182 ნაიმეგენი-ალკმაარი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 13 თებერვალი | | | |
| 183 აიაქსი-ტილბურგი (17$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 184 დენ ბოსხი-ტვენტე (17$^{30}$) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 185 გრააფსხაპი-უტრეხტი (17$^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 186 ვიტესი-ფეიენოორდი (17$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 187 ჰერენვენი-პსვ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ბელგია. მე-23 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 189 ბევერენი-გენტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 190 გეელი-ბეერსხოტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 191 ლოკერენი-აალსტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 192 სენტ ტრუიდენი-ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 193 ლომელი-მეხელენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 194 ლიერსი-ვესტერლო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 195 შარლერუა-სტანდარდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 196 ბრიუგე-ჰარელბეკე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 197 ბრიუგე-ჰარელბეკე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

საბერძნეთი.. მე-19 ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 198 კალამატა-პაოკ (17$^{00}$) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 199 ქსანთი-ოფი (17$^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 200 პანათინაიკოსი-აეკ (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 201 პანაჰაიკი-არისი (17$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 202 ეთნიკოსი-ტრიკალა (17$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 203 პროდეფტიკი-იონიკოსი (17$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 204 ირაკლისი-კავალა (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 205 ირაკლისი-კავალა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 206 პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი (17$^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 207 პანილიაკოსი-აპოლონი (17$^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 პანილიაკოსი-აპოლონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

თურქეთი. მე-20 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 210 ვანი-გენჩლერბირლიგი (14$^{00}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 211 ადანა-სამსუნი (15$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 212 ქოჯაელი-ერზურუმი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 213 გაზიანთეფი-ბურსა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 214 ალთაი-ფენერბაჰჩე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 215 ტრაბზონი-ანთალია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 216 ისთანბული-გიოზთეფე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 217 ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

შოტლანდია. 23-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 218 დანდი-სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 219 კილმარნოკი-მოზერუელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 220 სენტ ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

საფრანგეთი. თასის 1/16 ფინალი

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 224 ლიონი-ტრუა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 225 მარსელი-გენიონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 226 ნიმი-ტულუზი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 227 აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 3,5 | 3,0 | 1,9 |

აფრიკის თასი. მატჩი III ადგ. და ფინალი

12 თებერვალი

*503

13 თებერვალი

*504

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

ჰოკეი

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 861 ფილადელფია-ბუფალო | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 862 ბოსტონი-ფლორიდა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 863 ტორონტო-ვანკუვერი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 864 მონრეალი-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 865 აილენდერსი-პიტსბურგი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 866 ატლანტა-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 867 ტამპა ბეი-კაროლინა | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 868 სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 869 ნეშვილი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 870 ფინიქსი-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 13 თებერვალი | | | |
| 871 ნიუ ჯერსი-სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 872 ბუფალო-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 873 რეინჯერსი-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 874 დალასი-ვაშინგტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 875 კოლორადო-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 14 თებერვალი | | | |
| 876 ტორონტო-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 877 მონრეალი-ფლორიდა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 878 პიტსბურგი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 879 ჩიკაგო-ანაჰაიმი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 880 ფინიქსი-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 881 ლოს ანჯელესი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ერთი შავი ნაბიჯი



სარა პიტკოვსკი

**პარიზი. საფრანგეთი. OPEN GAZ DE FRANCE. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 537 ათასი $**

**აბა**, თანამემამულის ხმაურიანი წარმატება ვის არ გაახარებს, მაგრამ გაზის ღია პირველობის ორგანიზატორებს სარა პიტკოვსკის მოგებამ გული ძალიან დასწყვიტა.

საქმე კი ის არის, რომ წითურმა ფრანგმა ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, ასევე ბაყაყისმჭამელ ამელი მორესმოს (5) აკრეფინა გუდა-ნაბადი და მეოთხედფინალში ამ უკანასკნელსა და სერენა უილიამსს შორის მადისაღმძვრელი ორთაბრძოლის შესაძლებლობაც გამორიცხა.

არადა, ჩოგბურთის ყველაზე ცნობილმა ლესბოსელმა მატჩი შესანიშნავად დაიწყო და პიტკოვსკი პირველ სეტში 6:0-ით სულ 20 წუთში გაანადგურა. მორესმოს მოგების შესანიშნავი შანსიც ჰქონდა, მაგრამ 5:3-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა, 6:5-ზე მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა, მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე კი ექვსი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

„არ ვიცი, პირველი სეტის შემდეგ რა მომივიდა, მაგრამ ის კარგად მახსოვს, რომ ძალიან დაძაბული ვიყავი, დარტყმების დროს შეცდომის დაშვების მეშინოდა, არ ვრისკავდი და პირიქით, უფრო მეტს ვაცილებდი. ეს მარცხი 80 პროცენტით ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის გამო ვიწვნიე“ — ახსნა მოგვიანებით მორესმომ.

პიტკოვსკი კი ბეწვის ხიდზე გავლამ გამოაცოცხლა, თავდაჯერება შეჰმატა და სულ უფრო უკეთაც ათამაშდა. პატარა, მეტად ემოციური ფრანგი მატჩის ბოლოს სახელოვან მეტოქეზე გაცილებით უკეთაც გამოიყურებოდა და 2 საათსა და 10 წუთში დამსახურებულადაც გაიმარჯვა 0:6, 7:6 (7:2), 6:2.

„ვერ გეტყვით, სიტუაცია კორტზე როდის შეიცვალა ჩემს სასარგებლოდ ან გარდატეხა როდის შევიტანე თამაშში, მაგრამ ის ვიცი, რომ მაყურებლების უკვე საერთოდ აღარ მესმოდა, თითქოს სხვა განზომილებაში გადავედი. ალბათ, საუკეთესოები სულ ასე გრძნობენ თავს — აღნიშნა კლასიფიკაციით 39-ე პიტკოვსკიმ — სიხარულისგან მეცხრე ცაზე არ დავფრინავ და ეს ჩემი ოცნების მწვერვალი კი არა, მხოლოდ კიდევ ერთი ნაბიჯია წინ“.

მომდევნო ნაბიჯის გადადგმა კი ფრანგს კიდევ უფრო გაუჭირდება: მისი მეტოქე პირველად განთესილი, აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი სერენა უილიამსი იქნება.

შარშან 18 წლის შავკანიანმა ჰერკულესმა მინი-კაბაში სწორედ აქ მოიგო კარიერის პირველი ტიტული და ამჯერადაც არ აპირებს ხელდაუმშვენებლად გაბრუნებას.

„ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ტიტულის დაცვა მიწევს, რაც, სხვების გადმოცემით ვიცი, საკმაოდ სასიამოვნო გრძნობაა. ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება ხდები ტურნირზე“ — განაცხადა უმცროსმა უილიამსმა.

ავსტრალიის ღია პირველობაზე წარუმატებელი ასპარეზობა და მერვედფინალში ელენა ლიხოვცევასთან დამარცხება ამერიკელს მწარე გაკვეთილად გამოადგა: „შინ დაბრუნებულმა ბევრი ვიფიქრე ჩემს კარიერაზე და იმ ცვლილებებზე, რაც უნდა გამეკეთებინა დაღმასვლის თავიდან ასაცილებლად. ბევრი ვარჯიშის გარეშე რამდენად ნიჭიერიც არ უნდა იყო, არაფერი გამოგივა“.

პარიზში სერენა უკვე გაცილებით უკეთ თამაშობს მელბურნთან შედარებით. სახიფათო მეტოქესთან, შვეიცარიელ პატი შნიდერთან შეხვედრაში ის ძველებურად სწრაფად მოძრაობდა და ნაკლებ შეცდომებსაც უშვებდა, საბოლოოდ კი დამაჯერებლად იმარჯვა 6:2, 6:2.

ნარინჯისფერ წულებსა და შავ-ნარინჯისფერ კაბაში გამოწყობილმა უილიამსმა მატჩის შემდეგ პარიზელ მაყურებელთა გულებიც მოიგო, როდესაც კორტზევე მიცემულ ინტერვიუში ინგლისურს აქა-იქ ფრანგულიც შეურია: „აქ იმიტომ დავბრუნდი, რომ ჩემი ფრანგულის გასაუმჯობესებლად შესანიშნავი შანსი მეძლევა. თანაც აქ ყოფნა ძალიან მიყვარს და თავს THES BIEN (ძალიან კარგად) ვგრძნობ“.

**მერვედფინალი: ჟული ალარი (3, საფრანგეთი) — ლორანს ანდრეტო (საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:1); ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — ჟუსტინ ენენი (ბელგია) 7:5, 2:6, 6:4; ანა კურნიკოვა (4, რუსეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 7:6 (7:2), 6:2; ირინა სპირლეა (რუმინეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:4, 6:2; ნატალი დეში (საფრანგეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:0, 6:3; ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 4:6, 6:1, 6:4**

**დუბაის ღია პირველობა. არაბთა გაერთიანებული საემიროები. ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

მაგნუს ნორმანის კვალზე მეორე წრეში დუბაის კიდევ ერთი ახალი თაობის ვარსკვლავი, ამჯერად ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი (3) გამოაკლდა. თუმცა აღნიშვნას ისიც იმსახურებს, რომ ელიტაში შარშან გარეულ „მაუგლის“ მასზე გაცილებით ახალგაზრდა მეტოქემ, 19 წლის ხუან კარლოს ფერერომ მოუგო.

ქერა, გრძელთმიანმა და ძვალტყავა ესპანელმა ჩოგბურთის სპეციალისტებს შარშან, თიხნარზე წარმატებული ასპარეზობითა და მალიორკას ტურნირის ფინალში თვით ალექს კორეტხას დამარცხებით დაამახსოვრა თავი. ამ ერთ წელიწადში ფერერომ 345-ედან 39-ე ადგილზე გადაინაცვლა კლასიფიკაციაში და სეზონის ბოლოს საუკეთესოთა ოცეულში მოხვედრასაც გეგმავს.

ლაპენტისთან შეხვედრაში უკანა ხაზიდან აგრესიულად მოთამაშე თინეიჯერი კორტის თითოეულ სანტიმეტრს იყენებდა და ფილიგრანული სიზუსტით გადაჰქონდა ბურთი ერთი კიდიდან მეორეში. ორიოდ დღის წინ სამხრეთ ამერიკიდან ჩამოფრენილ, დევისის თასზე თამაშით გადაღლილ ეკვადორელს ბევრი სირბილის თავი არ ჰქონდა, თანაც გრიპის შემდეგ ფიზიკური ფორმის დაბრუნება ვერ მოასწრო და მატჩის ბოლოს უკვე გაჭირვებითაც მოძრაობდა — 4:6, 3:6.

„კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ ეს გასამართლებელი მიზეზი არ არის, ბიჭი ძალიან ძლიერია. ის სწრაფია, ბექჰენდიდან იშვიათად ცდება და სისუსტე, ფაქტობრივად, არა აქვს“ — შეაქო მეტოქე ლაპენტიმ.

მეოთხედფინალში ფერეროს თანამემამულე ფელიქს მანტიასთან (6) შებმა მოუხდება. ამ უკანასკნელმა პირველ წრეში ბაირონ ბლექის დამარცხების შემდეგ მეორეში მისივე უმცროს ძმას, უეინ ბლექსაც გადაუარა 6:1, 6:3.

**მერვედფინალი: ნიკოლას კიფერი (1, გერმანია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 5:7, 6:0; ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:0, 6:4; იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 6:2; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ჰიშამ არაზი (7, მაროკო) 6:4, 1:6, 6:0; ჟერომ გოლმარი (8, საფრანგეთი) — ადრიან პაველი (რუმინეთი) 3:6, 6:4, 7:6 (7:3)**

**მარსელის ღია პირველობა. საფრანგეთი დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 550 ათასი $**

მარსელის ღია პირველობის მეორე წრემ ხორვატული დროშის ფრიალში ჩაიარა — ტურნირზე მოასპარეზე ორივე ამ ქვეყნის წარმომადგენელმა სახელოვანი მეტოქეები დაჯაბნა.

პირველი მოულოდნელობის ავტორი ბოლო ხანებში რელსებიდან გადასული გორან ივანიშევიჩი გახდა. უიმბლდონის ღია პირველობის სამგზის ფინალისტმა, რომელმაც პირველ წრეში სირილ სოლნიესთან ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ამჯერად ტომას ენკვისტს (2) იოლად აჯობა 6:4, 6:3.

ცოტა მოგვიანებით თანამემამულისგან ესტაფეტა ახალგაზრდა ივან ლუბიჩიჩმა გადაიბირა. მან 20 ეისის წყალობით მსოფლიოს მეორე ჩოგან ევგენი კაფელნიკოვს (1) გამოუყვანა წირვა 7:6 (7:5), 6:3.

„ძალიან მიხარია, როდესაც მე და გორანი ერთი და იგივე ტურნირზე ვასპარეზობთ, ჩვენ ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ-ხოლმე. კარგია, რომ ძველებურად ათამაშდა, ეს მეც მამხნევებს“ — ეს ლუბიჩიჩის სიტყვებია.

**მერვედფინალი: სებასტიან გროსჟანი (4, საფრანგეთი) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:4; ფაბრის სანტორო (6, საფრანგეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 1:6, 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) 6:3, 6:2; მარკ როსე (შვეიცარია) — არნო კლემანი (8, საფრანგეთი) 6:4, 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**



ნიკოლას ლაპენტი



# ახლა მთელი იტალია გვიცნობს

## და არა მხოლოდ: იტალიელმა მორაგბეებმა ფეხბურთზე გადარეული თვისტომებიც გააოგნეს და მთელი მსოფლიოც



დიეგო დომინგესი

**ჩრდილო** ნახევარსფეროს უმთავრესი სარაგბო ტურნირი, ექვსი ერის პირველობა სენსაციით დაიწყო. ახალბედა იტალიამ ხუთი ერის უკანასკნელი პირველობის გამარჯვებულ შოტლანდიას უმასპინძლა და დაამარცხა. არცთუ დიდი ხნის წინ, სპეციალისტები აპენინელების ამ ტურნირში ჩართვას სკეპტიკურად უყურებდნენ. მათი აზრით, იტალია ყველა მატჩში განწირული იყო წაგებისათვის და შეჯიბრის ბოლოს ხის კოვზითაც „დაჯილდოვდებოდა“. თუმცა ამ პრიზზე უარი „სკუადრა აძურამ“ პირველივე ტურში თქვა. სკოტთა ძლევაში ლომის წილი დაიდო მასპინძელთა დამრტყმელმა, ტომით არგენტინელმა დიეგო დომინგესმა (57 კეპი), რომელმაც თავისიანებს 29 ქულა მოუტანა და რეკორდიც დაამყარა. დომინგესამდე რეკორდს ფრანგი ვიარი და ინგლისელი ენდრიუ საზიაროდ ფლობდნენ (24 ქულა). ახლა გთავაზობთ მცირე ინტერვიუს იტალიის ნაკრების ლიდერ დიეგო დომინგესთან, რომელიც ფრანგულ „ლე პარიზიენში“ დაიბეჭდა:

**— რა გრძნობა დაგეუფლათ შოტლანდიასთან მოპოვებული ისტორიული გამარჯვების შემდეგ?**

— უდიდესი სიხარული! ოცნება აგვისრულდა. ტურნირის პირველ მატჩში შარშანდელი გამარჯვებულის ჯობნა და თანაც საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ — დიდებულია. სტადიონზე მოსულმა 25 ათასმა ქომაგმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს წარმატებაში. მეორე დღეს, ყველა იტალიური გაზეთის პირველი გვერდი ჩვენი ფოტოებით იყო აჭრელებული. თამაშს 1,6 მილიონმა იტალიელმა უცქირა ტელევიზიით...

**— ელოდით კი რაგბით ასე დაინტერესებას ქვეყანაში, რომელიც ფეხბურთზეა „გადარეული“?**

— არა, მაგრამ მაინც ვიმედოვნებდით. იტალიაში რაგბის პოპულარიზაციისთვის რაღაც განსაკუთრებული უნდა გაგვეკეთებინა. შოტლანდიის ძლევის მერე უკვე ბევრი დაინტერესდა ჩვენით. ამ მოგებით რამდენიმე წლის საქმე ერთბაშად გავაკეთეთ. ახლა ლამის მთელი იტალია გვიცნობს.

**— გჯეროდათ, რომ შოტლანდიელებს დაამარცხებდით?**

— ვიცოდით, რომ სენსაციის მოხდენა შესაძლებელი იყო. შეხვედრისთვის ჩინებულად მოვემზადეთ, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად. ახალზელანდიელი მწვრთნელის, ბრედ ჯონსტონის წყალობით სკოტების შიში არ გვქონდა. მთავარი იყო, მათ თავიანთი თამაში ვერ ეპოვათ, ამაში ყველანაირად უნდა შეგვეშალა ხელი. მერე კი წარმატებაზე ფიქრიც შეიძლებოდა.

**— თქვენს პირად წარმატებას როგორღა ახსნით?**

— კარგად ვისარგებლე ჩვენი მორკინლების ბრწყინვალე თამაშით. მათ შოტლანდიელებს იმდენი თავსატეხი გაუჩინეს, რომ ისინიც ხშირად ჯარიმდებოდნენ. მეც მეტი რა მინდოდა.

**— ტურნირის დარჩენილ მატჩებში რას ელით?**

— შემდეგ ტურში უელსს ვესტუმრებით. ძალიან ძნელი თამაში გველის. უელსელები ფრანგებთან სამარცხვინოდ დამარცხდნენ კარდიფში და ახლა ჩვენს წინააღმდეგ გაათკეცებული ძალით ითამაშებენ. დანარჩენი შეხვედრებიც არანაკლებ რთული იქნება. იმედია, ყველა მატჩს არ წავაგებთ და სატურნირო ცხრილის ფსკერზე არ ჩავიძირებით.

**თარგმნა გაგი გურულმა**



# სიტყვის კაცი

**გუშინწინ** ბალეარის ერთ-ერთ ლამაზ კუნძულზე „მალიორკის ტური“ დასრულდა და ესპანელმა ფრანცისკო კაბელომ რბოლის დაწყებამდე დადებული სიტყვის შესრულება შამპანურის ბათქაბუთქით აღნიშნა. 1996 წლის „მალიორკის ტურის“ მომგებმა, ქომაგებს ამჯერადაც გამარჯვება აღუთქვა და აღარც გააწბილა ისინი.

ბოლო, მეხუთე ეტაპის გავლამ ველომრბოლებს წრიულ ტრასაზე მოუწიათ, რომელიც პალმანოვაში იწყებოდა და მთავრდებოდა. ჯერ 164-კილომეტრიანი გზის ნახევარიც არ გასრულებულიყო, რომ პელოტონს რვაკაციანი ჯგუფი მოსწყდა და წინ გავარდა. ლიდერებმა ერთხანს ისე ენერგიულად აჭენეს თავიანთი ლითონის ცხენები, რომ ძირითად ჯგუფს 3 წუთამდე მოუგეს, თუმცა მეტი დაწინაურება ველარ მოახერხეს. ტურის ყველა ფავორიტი პელოტონში დარჩა, ამიტომ ისინი უფრო ერთმანეთს უჭვრეტდნენ, ვიდრე ლიდერებს. ფრანსისკო კაბელომ თავისი ამოცანა პირნათლად შეასრულა — არც თანამემამულე პედრო ორილოს მისცა დაწინაურების საშუალება, არც გერმანელ ერიკ ზაბელს და არც სხვებს, რომელთაც ამის გაკეთება სულით და გულით სურდათ. საბოლოოდ კაბელომ „მალიორკის ტურის“ მოგება გაიფორმა, მეორე ადგილზე ორილო გავიდა, მესამეზე — ზაბელი. მეხუთე ეტაპის ეპილოგს რაც შეეხება, ფინიშთან ახლოს ლიდერთა რვაკაციანი ჯგუფიც დაიშალა. მათგან 3 ველომრბოლი დაწინაურდა, ხოლო ფინიშამდე კილომეტრიღა იყო დარჩენილი, როცა იტალიელმა ელიო აჯიანომ პედლების ტრიალს მოუხშირა და მთელი 6 წამით ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები.



ფრანცისკო კაბელო

**დავით გულუა**

REUTERS სანტა კატარინადან



მიქაელა დორფმაისტერი

# მიქაელამ ქარსაც გაუსწრო

**გუშინ** გაცნობეთ, იტალიის ჩრდილოეთში როგორც იქნა მოთოვა და მოთხილამურეებმაც მოილხინეს-მეთქი. ახლა კიდევ ერთი ახალი ამბავი: იტალიურ სანტა კატარინას ქარბუქიც დაატყდა თავს და თუმცა ქალთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის მონაწილეები ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ სუპერგიგანტში მაინც შეეჯიბრნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ავსტრიელმა მიქაელა დორფმაისტერმა, რომელიც საერთო ჩათვლაში აქამდეც უცილობელი ლიდერი იყო და ახლა მდგომარეობა კიდევ უფრო განიმყარა. ეს დორფმეისტერის მეხუთე გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში. დაგროვილ ქულათა მარაგი და ზუსტად ასქულიანი განსხვავება უახლოეს მდევართან, ავსტრიელს თითქოს მშვიდი ძილის საბაბს აძლევს, თუმცა, თავად მოთხილამურე სხვაგვარად ფიქრობს: „მოშვება არაფრით შეიძლება, ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. აი, თუ ინსბურკში სწრაფდაშვებაც მოვიგე, უკვე სხვა საქმეა.“ ამას წინათ მიქაელამ ერთი ოჯახური დრამა გადაიტანა: შვილივით ნაზარდი თაგუნა, სინდი დაელუპა და ერთი თვე ცხვირჩამოშვებული დადიოდა, თუმცა ახლა ორი თაგვი უყიდია და მათ საზოგადოებაში მხიარულად ისვენებს.

გუშინდელ სუპერგიგანტში მეორე ადგილი ფრანგმა რეგინა კავანიუმ დაიკავა და თუმცა საერთო ჩათვლაში წინ ვერ წაიწია, მეორეადგილოსან ავსტრიელ რენატე გოეტჩლს ცოტა დაუახლოვდა, აქამდე თუ 109 ქულით ჩამორჩებოდა, ახლა 20 ქულა მოუგო. კავანიუმ სუპერგიგანტის შემდეგ თავისი თავი აგრესიულობისთვის მსუბუქად შეაქო. „ეს თვისება სწრაფდაშვებაშიც რომ გამომეყენებინა, კარგს ვიზამდი, აგრესიულობა საჭირო ყოფილა. სუპერგიგანტის დასაწყისშივე უხეში შეცდომა დავუშვი, თუმცა მაინც მეორე ადგილზე გავედი.“ ამასთან, ლიდერისგან თითქმის 200-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ფრანგი საკუთარ საჩემპიონო შანსებს არ გამორიცხავს და ჯერ კიდევ იმედიანად იყურება მომავლისკენ.

### საერთო ჩათვლა

1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 9[illegible]2; 2. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 802; 3. რეგინა კავან[illegible] (საფრანგეთი) — 713; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 6[illegible] მარტინა ერტლი (გერმანია) — 490

# ჰერმინატორის სარეკორდო ზრახვანი

**სამთო-სათხილამურო** სპორტში ახალი რეკორდი მწიფდება და თუ იგი დამყარდა, მისი ავტორი ავსტრიელი ჰერმან მაიერი, ანუ როგორც სპორტის ამ სახეობის მოყვარულები ეძახიან, ჰერმინატორი იქნება. ყოფილმა ქვისმთლელმა და მერე ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა სამი წლის წინ, მსოფლიოს თასისთვის სრიალიც დააჭაშნიკა და 1998 წელს იგი მოიგო კიდეც. მაშინ მაიერმა 1685 ქულა დააგროვა და შვეიცარიელ პოლ აკოლას რეკორდის მოხსნამდე სულ 14 ქულა დააკლდა. თასის წლევანდელ გათამაშებაში მაიერი იგებს ყველაფერს, რისი მოგებაც შეიძლება და ავსტრიის ნაკრების ქულათა საერთო ყულაბაც მეტწილად მისი მეცადინეობით ივსება. 23 დაშვებიდან ავსტრიელებმა წლეულს 16 მოიგეს და აქედან 14 მაიერის ანგარიშზე ჩაიწერა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავსტრიელები საერთოდაც ამ საქმის ბატონ-პატრონები არიან და მაიერის გარდა, სხვა ძლიერი მოთხილამურენიც მრავლად ჰყავთ, რომელთაც მსოფლიოში ვერავინ გაუტოლდება.



ჰერმან მაიერი

წლეულს კი მაინც მაიერის წელია და აკოლას რეკორდსაც საშიშროება ემუქრება თუ იგი შინ, კერძოდ სანქტ ანტონის ახალთახალ სათხილამურო ტრასაზე თასის ორივე ეტაპს მოიგებს. სპორტსმენს ამის დიდად ეიმედება. „არენა ჩინებულია — აცხადებს იგი — 27 ეტაპი მომიგია და ახლა, რა ღმერთი გამიწყრება...“

ყველაფერთან ერთად მაიერს მსოფლიოს თასის მოგება კიდევ ერთ მიღწევას შესძენს: იგი მეორე ავსტრიელი გახდება, ვისაც მსოფლიოს თასი ორგზის მოუგია და არც ესაა პატარა ამბავი.

**დავით გულუა**



# ვენაში რუსების როკვლაა

**ვენაში,** ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე, მომდევნო მედლების კომპლექტი ვაჟთა ერთეულებს შორის გათამაშდა. ავსტრიის დედაქალაქში ამჯერადაც რუსები ბატონობდნენ და ყოველგვარი გართულებების გარეშე დაისაკუთრეს საუკეთესო ადგილები. პირველობისთვის ორი რუსი იბრძოდა — 17 წლის ევგენი პლუშენკო და მსოფლიოს ჩემპიონი ალექსეი იაგუდინი. ეს უკანასკნელი თავს არცთუ დამაჯერებლად გრძნობდა, რადგან შეჯიბრების დაწყებამდე, ვარჯიშისას, ჯერ ციგურა გაუტყდა და კოჭი ამოუვარდა, მერე კი ხელიც დაიშავა. ტრავმებმოუშუშებელ იაგუდინს პლუშჩენკოს შემდეგ უწევდა გამოსვლა და ამისი ეიმედებოდა, მეტოქის შედეგი მეცოდინება და ფსიქოლოგიურად უფრო შემაგრებული გავალ ყინულზეო. მთავარი მეტოქის ყოფილი და ახლა თავისი მწვრთნელის, ალექსეი მიშინის მიერ წვრილმანებამდე განსწავლულმა პლუშენკომ მართლაც ბრწყინვალედ ისრიალა და მხოლოდ ბოლოს დაუშვა ერთადერთი შეცდომა ორმაგი მარყუჟის შესრულებისას, თორემ შვიდივე სამმაგი ნახტომი ისე შეასრულა, ტრიბუნებს ენა ჩაუვარდათ. ამას მოჰყვა უნიკალური ოთხმაგი ნახტომი და ცხრავე მსაჯმა, თავის კმაყოფილი დაკანტურების შემდეგ, ნორჩი რუსი თითქმის უმაღლესი შეფასებებით დააჯილდოვა ტექნიკურობისა და არტისტულობისთვის. პლუშჩენკოს ჩინებულად ჰქონდა შერწყმული რუსული ხალხური და ბოშური მელოდიები, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ასე რომ, რუსი დღის გმირად იქცა, რადგან იაგუდინმა ამდენი ველარ შეძლო, თუმცა მისმა ილეთებმა აპლოდისმენტები დაიმსახურა. სამიოდე შეცდომა დაუშვა და იმანაც ველარ უშველა, რომ გარდა პლუშენკოსი, ერთადერთი იყო ჩემპიონატზე, ვინც ოთხმაგი შეხტომა მოახერხა; იაგუდინი ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო მესამე ადგილი 1993 წლის ევროპის ჩემპიონმა, უკრაინელმა დმიტრი დმიტრენკომ მოიპოვა. უძლიერესთა მარაქაში სრიალებდა ჩვენებური ვახტანგ მურვანიძეც, მაგრამ ფინალში მან რამდენიმე დასანანი შეცდომა დაუშვა და მე-16 ადგილს დასჯერდა.

REUTERS ვენიდან



ევგენი პლუშჩენკო

**დავით გულუა**



# ოსგუდი და კოლციგი
## ორი შათაუტიც საჭიროა

10 თებერვალი

**სენტ ლუისი — დეტროიტი 0:2**

0:1 0:1 0:0

0:1 ლაპოინტი 15'01 (11); 0:2 ლიდსტრიომი 29'57 (14)

**მონრეალი — ვაშინგტონი 0:1**

0:0 0:0 0:1

0:1 ნიკოლიშინი 47'48 (8)

**აილენდერსი — ტამპა 5:4**

0:0 3:2 1:2 1:0

1:0 ჩერკავსკი 20'51 (20); 1:1 დრულია 22'38 (8); 2:1 დრური 23'52 (3); 3:1 ჩერკავსკი 29'23 (21); 3:2 მარა 34'43 (4); 3:3 ლეკავალიე 50'21 (15); 3:4 მოდინი 50'58 (15); 4:4 უოტი 57'09 (2); 5:4 კონოლი 63'49 (9)

**ფილადელფია — ედმონტონი 2:3**

0:0 1:3 1:0

0:1 ბრაუნი 21'57 (3); 0:2 გერინი 29'48 (17); 1:2 ლეკლერი 31'13 (28); 1:3 გერინი 39'25 (18); 2:3 განი 56'10 (12)

**კოლორადო — კალგარი 3:2**

0:1 0:0 3:1

0:1 მორისი 8'19 (7); 0:2 იგინლა 41'34 (12); ოზოლინში 46'31 (14); 2:2 მეიდუკი 52'46 (25); 3:2 დრური 57'04 (16)

**ნეშვილი — ბუფალო 1:2**

0:0 1:1 0:0 0:1

0:1 ვარადა 31'50 (4); 1:1 პელტონენი 32'57 (4); 1:2 ვული 64'08 (4)

სამი წაგების შემდეგ ლიგის ერთ-ერთი გრანდის, დეტროიტის მორიგ კრიზისზე ალაპარაკდნენ. მეტიც, პრესამ ერთი ამბავი ატეხა, ასეთი ხანდაზმული და ზანტი დაცვა „წითელფრთიანებს“ პლეი ოფში ხეირს არ დააყრისო. თუმცა, გუშინ, გუნდმა ყველა სკეპტიკოსი გააჩუმა — ერთ-ერთ კონკურენტს სენტ ლუისს მოუგო.

„წინა მატჩში, სამშაბათს (მაშინ სენტ ლუისმა დეტროიტში 4:1 მოიგო), გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ჩემთვის გაუგებარია, დღეს რა დაგვემართა“ — სენტლუისელთა მწვრთნელი ჟოელ კენევილი გაოცებული გახლდათ. მართლაც „ბლუზმენებს“ არაფერი გამოსდიოდათ, მათ მხოლოდ 13-ჯერ დაარტყეს, რაც ამ სეზონში გუნდისთვის ყველაზე დაბალი შედეგია. ის, რომ მასპინძლებმა ვერც ერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ შექმნეს, უფრო სტუმართა დამსახურება იყო, რომლებმაც ორი ლამაზი გოლი გაიტანეს და მოპოვებული უპირატესობა მეტოქეს ბოლომდე არ დაანებეს. „ეს წლეულს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო.“ — განაცხადა დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდმა, რომელიც 26 შათაუტით კლუბის ისტორიაში მეორე გოლკიპერი გახდა.

REUTERS დენვერიდან



კოლორადოელი ალექსეი გუსაროვი საკუთარ კარს და მეკარე პატრიკ რუას მატროსოვივით გადაეფარა

წინა მატჩში დასვენებულმა, ვაშინგტონელმა ოლაფ კოლციგმა კი მე-15 შათაუტი მიითვალა და დღესდღეობით ამ შედეგით კლუბის საუკეთესო მეკარე გახლავთ. თუმცა, ოსგუდისგან განსხვავებით, მას მეტმა გარჯამ მოუწია, განსაკუთრებით ანდრეი ნიკოლიშინის გოლის შემდეგ. სტუმრებმა მოგება მაინც შეინარჩუნეს და აღმოსავლეთში ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლეს. თვენახევრის წინ მეათე ადგილზე მყოფი „კეპიტალსი“ დღეს უკვე მეხუთეა.

კოლციგის დარად, „ოლ სტარში“ მონაწილეობამ ედმონტონელ ტომი სალოსაც სიმხნევე შემატა. ის, რომ მისმა გუნდმა ფილადელფიიდან შინ ორი ქულა წაიღო, მეტწილად მისი დამსახურებაა. შვედმა ბოლო წუთზე ერიკ ლინდროსის ორი მეტად სახიფათო დარტყმა მოიგერია, მანამდეც არაერთხელ იხსნა თავისიანები. ფილადელფიელი კეიტ პრიმო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ენერგიით სავსეა და გოლები თუ ვერ გააქვს, მეტოქეებთან ანგარიშსწორებას მაინც ახერხებს. ამჟამად მან მეორე წუთზევე ბილ გერინს სცემა, მაგრამ „ოილერსელმა“ ორი გოლით უპასუხა. ოვერტაიმის მიწურულს ბუფალოელთა მწვრთნელმა ლინდი რაფმა ტაიმ-აუტი ითხოვა და ტაქტიკური სქემა შეცვალა. შედეგად შეტევაში ჩართულმა ჯეისონ ვულიმ მიროსლავ შატანის ზუსტი გადაცემა გამოიყენა. ბუფალომ ზედიზედ მეორედ მოიგო და საპლეიოფო ოქტეტს მიუახლოვდა — მერვეადგილოსან ბოსტონისგან ქულაღა აშორებს. დამატებით დროში თამაშის უფლება კი თავისიანებს დომიკ ჰაშეკმა (27 მოგერიება) გაუნაღდა. მესამე მესამედის ბოლო წუთზე მან, ყინულზე გაწოლილმა, ეფექტურად მოიგერია სკოტ უოკერის დარტყმა.

როგორც კი კოლორადომ 122-წუთიანი უგოლობა შეწყვიტა, საქმე უმალ წაუვიდა და კალგარისთან მატჩის ბოლო 8 წუთში მეტოქის ორ გოლს, სამით უპასუხა.

აუტსაიდერ აილენდერსისა და ტამპას შეხვედრის ბედი გუნდების ლიდერების — მარიუშ ჩერკავსკისა (2+2) და ვენსან ლეკავალიეს (1+2) დუელმა გადაწყვიტა. „ოლ სტარში“ მოხვედრით შეგულიანებულმა პოლონელმა მეტოქეს ქულით აჯობა და ახალბედა ტიმ კონოლის გადამწყვეტი შაიბა გაატანინა.

ურთულესი ხუთმატჩიანი საგარეო ვოიაჟის წინ, ვანკუვერმა თავისი წამყვანი მცველი ადრიან ოკუანი (47 შეხვედრაში 20 (10+10) ქულა) ხუთი კვირით დაკარგა. გაუმართლა ვეტერან ფორვარდ ჯო მერფის. 32 წლის ჰოკეისტი უსაქმოდ ცოტა ხანს იყო — ამ დღეებში იგი ვაშინგტონმა გადაიბირა. როგორც „კეპიტალსის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ განაცხადა, ბოლო წლებში კლუბმა ტრადიციად აქცია საპლეიოფოდ გამოცდილი მოთამაშეების შეძენა.

**სამველ ლარიგიანი**

## გერმანია

XX ტური

**არმინია 1:2 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ვაიზენბერგერი (36), 1:1 კოხი (38), 1:2 ბუკი (90)

**ვერდერი 4:1 ჰერტა**

1:0 ტრარესი (8), 2:0 ბაუმანი (17), 3:0 აილტსი (20), 3:1 ალვეში (50), 4:1 აილტონი (78)

### მეორე ბუნდესლიგა

XVIII ტური

**მიონხენგლადბახი 1:0 ქემნიცი**

**ვალდჰოფი 2:1 ნიურნბერგი**

**კიკერსი 1:2 ალემანია**

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXXI ტური

**ტრანმერი 2:2 ბარნსლი**

1:0 პარკინსონი (16), 1:1 შიპერლი (43), 2:1 კელი (57), 2:2 ტომასი (65)

## ბელგია

XXIII ტური

**მუსკრონი 5:0 გენკი**

## იტალია

სერია B. XXII ტური

**სალერნიტანა 2:0 ბრეშა**

## საფრანგეთი

თასის

მეთექვსმეტედფინალი

**სენტ ეტიენი 0:0 (3:4 პენ) ლორიანი**

**ნიორი 0:3 კანი**

**ამიენი 1:1 დ.დ. (0:0, 5:3 პენ) ლავალი**

# ეს გოგოები...



დიაД მოკრივეთა ქალიშვილების ლტოლვამ საბრძოლო ხელთათმანებისკენ, შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო. შარშან იყო და მუჰამედ ალის ქალიშვილი ლეილა ატყდა, პროფესიონალ მოკრივედ უნდა შევიქნეო და აღასრულა. წლეულს არის და ჯერ ჯო ფრეზერის ქალიშვილმა ჟაკლინმა მოირგო ხელთათმანები, მამაჩემის ძველი მოწინააღმდეგის ქალიშვილს უნდა შევებრძოლოო, ახლა არის და ძია ჯორჯ ფორმენის შვილი, ეს მოხდენილი ფრიდა ფორმენი აბობოქრებულა, მივდივარ ლას ვეგასში და მიმაქვს ხელთათმანებიო. როგორც შექსპირი იტყოდა, მამათა შუღლი კვლავ ძველ მტრობად გადუქცევიათ და ასე შემდეგ.



REUTERS მელბურნიდან

# ბურთი ქოლგაში

დიდი უცნაური რამ არის გოლფის ბურთი. თუ უხეიროდ დაჰკარი, ისეთ ადგილას გაექცევა, რომ სანამ იპოვნი შენი დაგემართება. მელბურნში, „ოსტრალიან მასტერზის" შეჯიბრისას, იქაურ ბრენდან ჩენტს ისე დაუკრავს ყვანჯი ბურთისთვის, რომ ეს უკანასკნელი სულ სხვა მხრით გაფრენილა და გოლფის სამოცდარვა წლის ქომაგის, პიუ სეფტონის ქოლგის სამაგრებში გაჩხერილა. არ ვიცი, გაინტერესებთ თუ არა, მაგრამ მისტერ სეფტონი ახალი სამხერთ უელსის ქალაქ ჩელტენებში ცხოვრობს.

*ევროპის საფეხბურთო გამოჩენილნი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს მოსდებიან. მაგალითად, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ბოლივიას სტუმრობს. დედაქალაქ ლა პასიდან შვიდასი კილომეტრით დაშორებულ ქალაქ სანტა კრუსში, სადაც ფეხბურთის განთქმული აკადემია „ტაპიჩი" არსებობს და იღვწის. ფიფას პრეზიდენტმაც სხვა ვინ უნდა დააფასოს თუ არა ხვალის ვარსკვლავები?*



REUTERS სანტა კრუსიდან

# ვენის ყინულზე

*ვენაში გრძელდება ფიგურულად მოსრიელათა ევროპის ჩემპიონატი. სპორტული ცეკვების გრაცია და სილამაზე რომ განუმეორებელ სითბოსა და ეროტიზმს აფრქვევს, ამას ეს გერმანული წყვილიც გვიდასტურებს. იცნობდეთ: კატი ვინკლერი და რენე ლოზე.*



REUTERS ვენიდან

# ევროპელები სამხრეთში



REUTERS ასუნსიონიდან

*სერ ბობი ჩარლტონი კი პარაგვაიშია. დედაქალაქ ასუნსიონის ღარიბ გარეუბანში ისიც პატარა ფეხბურთელებს დასტრიალებს თავს. მათთვის „ნიუკასლის" მაისურები უჩუქნია და ერთი-ორი თავის ილეთსაც ასწავლის. თუმც, უნდა აღვნიშნოთ, რომ სერ ბობი სხვასაც ფიქრობს — ლათინურ ამერიკაში მისი მოგზაურობის მთავარი თემა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ინგლისში ჩატარების მხარდაჭერის მოპოვებაა.*


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli